ნინო გაზაშვილი

# ასო-ბგერიდან წინადადებამდე

გამომცემლობა „აწმყო“
კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ
თბილისი
2002

მადლობას ვუხდით ორგანიზაცია Mercy Corps-ს, რომლის მეშვეობითაც დაფინანსდა ეს გამოცემა.

აგრეთვე დიდ მადლობას ვუხდით გამოცემის მომზადებაში უსასყიდლო დახმარებისათვის:
ლოგოპედიური სკოლის დირექტორს
ქალბატონ ნინო ზაქარეიშვილს,
სრულიად საქართველოს სკოლამდელი აღზრდის ბავშვთა და პედაგოგთა უფლებების დაცვის სამართლებრივი კავშირის პრეზიდენტს
ქალბატონ ნანა საბინაძეს,
კორექტორს:
ქალბატონ ნორა თეთრაძეს,
მხატვრებს:
ქალბატონ ია ხოსიტაშვილს,
ბატონ ერეკლე ანთიას
და
სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევით ცენტრს "NACRES".

© ნინო გაზაშვილი

*საავტორო ყველა უფლება დაცულია. წიგნის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოყენება აკრძალულია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.*

წიგნი გამოსაცემად მოამზადა "კავშირმა ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ" — დაკაბადონდა და დაიბეჭდა ამ კავშირის გამომცემლობა "აწმყოს" მიერ, ხოლო აიკინძა ამავე კავშირის "სოციალური თერაპიის სახლში"

რეცენზენტი:
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დეფექტოლოგი — რევაზ თაყაიშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ძირითადი ნაწილი — ზურა ქარბელაშვილის,
დამატება — ნინო კუნჭულიასი,
ყდა გააფორმა — რუსუდან ვადაჭკორიამ

ექსპერიმენტული გამოცემა

ISBN: 99940 - 737 - 8 - 8

# ავტორისაგან

მალე თქვენი შვილი სკოლაში წავა. მშობლების სურვილია ბავშვი მოეკიდოს სწავლას მონდომებით, სიხარულით, მაგრამ, თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რომ ბავშვი მზად იყოს ამისთვის? თქვენი შვილი ჯანმრთელია, მოძრავია, ცნობისმოყვარეა. თითქოს არ არის საფუძველი წუხილისათვის. ჩემი ოცდაოთხი წლის პედაგოგ-ლოგოპედად მუშაობის პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ ყველაფერი არც ისე იოლია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. არამკვეთრად გამოხატული ნაკლოვანებების მქონე ბავშვთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. ბავშვების უმრავლესობას არ შეუძლია ყურადღების კონცენტრაცია, განუვითარებელი აქვთ მეხსიერება, უჭირთ მოხაზულობით მსგავსი ასოების დამახსოვრება (შ-წ, თ-ფ, ძ-ხ), ნორმალური ფიზიკური სმენის მქონე ბავშვებს განუვითარებელი აქვთ ფონემატური სმენა, ანუ უნარი განასხვაონ სმენით ბგერები-ფონემები. ასეთი ნაკლის მქონე ბავშვებს უჭირთ ბგერის აღნიშვნა შესაბამისი ასოთი. ვერ ასხვავებენ მჟღერ და ყრუ ბგერებს: პ-ბ, ტ-დ, ს-ზ, შ-ჟ, სისინებს — შიშინებისაგან ს-შ, ბგერებს რ-ლ და სხვა.

როგორც წესი, ხუთი წლის ბავშვის მეტყველება ჩამოყალიბებული უნდა იყოს. ის სწორად უნდა ადგენდეს ფრაზას, მკაფიოდ უნდა გამოთქვამდეს მშობლიური ენის ყველა ბგერას. მისი ლექსიკონი უნდა შედგებოდეს 2500-3000 სიტყვისგან.

წიგნში შეტანილია ლექსები, გამოცანები, რებუსები, ენის გასატეხები, სავარჯიშოები, რომლებიც დავწერე სპეციალური მეცადინეობებისათვის, რომლებსაც ჩემი კოლეგები და მე წლების მანძილზე ვატარებთ თბილისის N1 ლოგოპედიურ ბაგა-ბაღში.

წიგნში შეტანილი გასაფერადებელი სურათები სახალისოს ხდის მეცადინეობას, ხელს უწყობს ბგერის შესწავლას, მისი ადგილის განსაზღვრას სიტყვაში. ასევე დადებით განწყობას უქმნიან ბავშვებს გამოცანები, რებუსები, თამაშები, სავარჯიშოები, რომელთა გამოყენებით ბავშვი სწავლობს სამეტყველო ბგერების (ფონემების) განსხვავებას, მათ გამოყოფას სიტყვიდან, შედარებას. ასეთი სახის სავარჯიშოები დადებითად მოქმედებს ბავშვებზე და უქმნის მათ მხიარულ განწყობას. ბავშვი თამაშის პროცესში სწავლობს ასოებს, თავისუფლად ადგენს მარცვლებს, სიტყვებს, რაც თავის მხრივ აჩქარებს და აადვილებს კითხვის პროცესს. ეს კი ძირითადი პირობაა როგორც სწორი მეტყველების ფორმირებისათვის, ისე წერა-კითხვის წარმატებით დაუფლებისათვის. ამიტომ, ეს სახელმძღვანელო შეიძლება გამოიყენონ იმ ბავშვებმაც, რომლებსაც არა აქვთ ბგერათა დარღვევები.

ახალი ბგერის წარმოთქმა და მისი გამოყენება მეტყველებაში არ არის იოლი. სირთულეს წარმოადგენს ბავშვისთვის სიტყვის მნიშვნელობის გააზრება, მისი გრამატიკული აგებულება, ადგილის პოვნა ფრაზაში. ამიტომ, უფროსები უნდა დაეხმარონ პატარებს სავარჯიშოების შესრულებაში. როგორ შევასრულოთ ეს სავარჯიშოები? პირველ რიგში, გქონდეთ მეგობრული დამოკიდებულება და შეაქეთ მისი პატარა მიღწევები. წარუმატებლობის შემთხვევაში იყავით შემწყნარებელნი.

სავარჯიშოებში არის მარტივი და რთული სიტყვები (სტრუქტურულად და მნიშვნელობის მიხედვით). აუხსენით ბავშვებს უცნობი სიტყვის მნიშვნელობა, მოუყვანეთ მისი გამოყენების მაგალითები. ამით თქვენ გაამდიდრებთ ბავშვის ლექსიკონს. არასოდეს მოსთხოვოთ მას მექანიკურად გაიმეოროს მზა პასუხი! აქტიური, შემოქმედებითი მუშაობაა ამ სავარჯიშოების მიზანი. სავარჯიშოები, განსაკუთრებით პირველ მეცადინეობებზე, ითხოვენ დაწვრილებით ახსნა-განმარტებას. პირველ რიგში, ბავშვებს აუხსენით, რომ ჩვენი მეტყველება შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები — ბგერებისაგან. თუ ერთი ბგერა გაქრება სიტყვიდან, ის მახინჯდება ან აღნიშნავს სრულიად სხვა საგანს (ქორი — ორი, ჭია — ია, ცხვირი — ხვირი და ა.შ), იგივე მოხდება, თუ არასწორად წარმოვთქვამთ ბგერებს (თარი — ტარი, სია — შია), ამიტომ ყურადღებით მოისმინონ და შემდეგ მკაფიოდ წარმოთქვან თითოეული ბგერა.

იოლად წარმოითქმის ხმოვანი ბგერები: ა ი ე ო უ. მათი წარმოთქმის დროს პირი მეტ-ნაკლებად ღიაა. ტუჩები, კბილები, ენა "არ უშლიან" ჰაერნაკადს. ხმოვნები შეიძლება ხანგრძლივად გავჭიმოთ, ვიმღეროთ. შეისწავლით რა სავარჯშოების დახმარებით ხმოვან ბგერებს და მათ აღმნიშვნელ ასოებს, გადადით თანხმოვან ბგერებზე. თანხმოვანი ბგერების წარმოთქმის დროს

ენა, კბილები, ტუჩები წინააღმდეგობას უქმნიან ჰაერნაკადს. ისინი იღებენ გარკვეულ მდგომარეობას, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისათვის. აჩვენეთ ბავშვს, როგორ წამოითქმის თანხმოვანი ბგერები. წარმოთქვით უტრირებული (ხანგრძლივი დდდდ...) არტიკულაციით. დაასახელეთ მკაფიოდ, უ ხმოვნის გარეშე – მ და არა მუ, ს და არა სუ. ასწავლეთ ბავშვს ხანგრძლივად წარმოთქვას პირველი ბგერა. თუ შეასრულებთ ამ მარტივ „მცნებებს", თქვენ ადვილად ასწავლით ბავშვს კითხვას.

ყოველი ახალი ბგერის შესწავლისას აჩვენეთ ამ ბგერის აღმნიშვნელი ასო. ბავშვი თანდათან მიხვდება, რომ ბგერები გვესმის, წარმოვთქვამთ, ხოლო ასოს ვწერთ და ვკითხულობთ.

თუ ბავშვი ვერ წარმოთქვამს ამა თუ იმ ბგერას სწორად, მიმართეთ ლოგოპედს. დაჟინებული თხოვნით ბავშვი ბგერას ვერ გამოასწორებს. მან რამდენიმე დღის განმავლობაში უნდა წარმოთქვას ლოგოპედის მიერ დაყენებული ბგერა მარცვლებში, შემდეგ სიტყვებში, ლექსებში, მოთხრობებსა და ზღაპრებში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენებს მას ყოველდღიურ მეტყველებაში.

ბგერითი შემადგენლობის სქემების შედგენის დროს, ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს შეაცვლევინეთ მხოლოდ ხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები შესაბამისი ხმოვანი ასოებით. ექვსი-შვიდი წლის ბავშვებთან მუშაობის დროს შეცვალეთ ჯერ ხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები ასოებით და "წაიკითხეთ" სიტყვა. შემდეგ თანხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები შესაბამისი ასოებით და წაიკითხეთ სიტყვა.

მოამზადეთ ფირფიტები, რომლებზეც მსხვილი შრიფტით იქნება აღნიშნული ასოები (ან გამოიყენეთ მოძრავი ანბანი). ბავშვმა უნდა ასწიოს ის ასო, როცა სიტყვაში მოისმენს მითითებულ ბგერას.

მოამზადეთ წითელი და ლურჯი ფერის პატარა ზომის წრეები, სიტყვის ბგერითი შემადგენლობის სქემის შესადგენად და დიდი ზომის თითო-თითო ლურჯი და წითელი წრე, დასახელებულ სიტყვაში მითითებული ბგერის აღსანიშნავად.

ავარჯიშეთ ბავშვები წინადადებების შედგენაში. ამისთვის მოამზადეთ მართკუთხედის ფორმის ერთი ფერის დიდი (წინადადების აღმნიშვნელი) და პატარა ზომის (წინადადებაში შემავალი სიტყვების რაოდენობის აღმნიშვნელი) ფირფიტები.

განყოფილებაში, სადაც მოცემულია გამოცანები, დაეხმარეთ ბავშვს თითოეული უჯრიდან გაჰყვეს ხაზს და იპოვოს ის ასო, რომელთანაც მიდის ხაზი. 5-6 წლის ბავშვებმა ამ უჯრებში ჩახატონ ასოს აღმნიშვნელი წრეები და "წაიკითხონ" სიტყვა. 6-7 წლის ბავშვებს დაეხმარეთ, რომ სწორად ჩაწერონ ასოები უჯრებში. შემდეგ ბავშვმა უნდა შეადგინოს – წაიკითხოს სიტყვა. ნახატები და ტექსტი დაეხმარება პატარებს გამოცანის გამოცნობაში, და თანაც წერის და სიტყვის შედგენის პროცესს სახალისოს გახდის. სასურველია, ხშირად წაუკითხოთ ბავშვებს პატარა მოთხრობები. ვავარჯიშოთ სმენით კარნახზე. თუ ბავშვი ვერ შეძლებს სმენით ბგერების თანმიმდევრობით დახსომებას, შევთავაზოთ დაალაგოს თითოეული მოსმენილი ბგერის აღმნიშვნელი ასო და შემდეგ წაიკითხოს სიტყვა.

თავიდან უნდა შეირჩეს ერთ ან ორ მარცვლიანი (ორ, სამ და ოთხ ბგერიანი) სიტყვები. როცა ბავშვი დაეუფლება მარტივი სიტყვების სმენით შედგენას, შეიძლება ორ, სამ და ა.შ. მარცვლიანი სიტყვების გამოყენება.

მოთხრობები სმენითი კარნახის გასავარჯიშებლად მოცემულია წიგნის ბოლო განყოფილებაში.

წიგნში ყოველ ახალ ასო-ბგერასთან ხატია ბუ. გააცანით ბავშვებს, როგორც მასწავლებელი "ბუკია". იგი ასწავლის მათ, თუ როგორ წარმოთქვან და წაიკითხონ ასოები, მარცვლები, სიტყვები.

იმისათვის, რომ ბავშვმა შემოხაზოს მოცემული ასო და ეს პროცესი მისთვის არ იყოს მოსაწყენი, მივცეთ მას თამაშის სახე – "მოდი დავეხმაროთ ციყვს (დათვს, კურდღელს...) და ვასწავლოთ წერა". პირველი მცდელობა ლამაზად დაწეროს ასო შეიძლება წარუმატებლად დამთავრდეს. მიუხედავად ამისა, შეაქეთ ბავშვი და იგი მეტი მონდომებით გააგრძელებს ამ "თამაშს".

ავარჯიშეთ ბავშვი სხვადასხვა ფორმის (ზიგზაგი, წყვეტილი, სწორი) ხაზების გავლებაში. გამოიყენეთ წიგნის ბოლო განყოფილებაში მოცემული „ბილიკები".

სიტყვაში ბგერის ადგილის განსაზღვრისათვის სასურველია მოამზადოთ სამი ფირფიტა, რომლებზეც დახატული იქნება ნებისმიერი საგანი (ყვავილი, ცხოველი). ერთ ფირფიტაზე პირველ უჯრაში, ე.ი. თავში, მეორე ფირფიტაზე – მეორე უჯრაში – ე.ი. შუაში და მესამე ფირფიტაზე მესამე უჯრაში, ე.ი. ბოლოში. ბავშვს ვთხოვოთ გვაჩვენოს ის ფირფიტა, რომელიც აღნიშნავს ბგერის ად-

გილს სიტყვაში. სიტყვები დავმარცვლოთ ჯერ ტაშით, შემდეგ კი აკრობატი ცხოველების დახმარებით. ესა თუ ის ცხოველი ხტება ბურთიდან ბურთზე (ბავშვები ხტუნვას ასრულებენ თითებით) და წარმოთქვამენ მარცვლებს.

სახელმძღვანელო რეკომენდირებულია მასწავლებლებისათვის, ლოგოპედებისათვის ინდივიდუალური და ჯგუფური საკორექციო მეცადინეობების ჩასატარებლად, მშობლებისათვის და პედაგოგიურ ინსტიტუტში არსებული დეფექტოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

*კოლეგებო! - წიგნში მოცემული მასალა წვეთია იმ ოკეანისა, რომელიც ცოდნის სახით არსებობს თქვენში, თქვენს ფანტაზიაში, შესაძლებლობებში, უნარში. ვიტოვებ იმედს, რომ ეს სახელმძღვანელო დახმარებას გაგიწევთ პატარებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობაში მათი მეტყველების გასაუმჯობესებლად. გისურვებთ წარმატებებს!*

***ნინო გაბაშვილი***

დათუნიას უნდა, რომ ისწავლოს წერა,
მისმა დიდმა სურვილმა გააოცა ყველა,
ფისო ცაცოც აქ არის, ხელში უჭირავს ფანქარი.
შეაწუხა ყველა.
მეც მასწავლეთ წერა!!!
აქ არიან: ვეფხვი, თაგვი, ჩიორა, ბაჭყატა და ბაჭია,
გოჭი, დათვი, სპილო, ყურშა, მაიმუნი მანჭია.

მასწავლებელ „ბუკიას" მოუსმინეთ ყურადღებით,
შეასრულეთ დავალება, ნამდვილად არ დაიღლებით.
აფერადეთ სურათები, ამოხსენით რებუსები.
თქვენთან ერთად იქნებიან „ბუკია" და ცხოველები.

იმედი მაქვს — მათთან ერთად
თქვენც ისწავლით წერას, კითხვას,
და ეს წიგნი — საჩუქარი
გეხსომებათ დიდხანს, დიდხანს.














# ბგერა ა



**1.** შეხედე სურათს. სურათზე დახატული ფრინველია არწივი. გაიმეორე ფრინველის სახელი. არწივი ფრინველთა მეფეა.

**არწივი** სიტყვაა.

დადე სიტყვის აღმნიშვნელი ფირფიტა.

შეხედე სურათს.
რა ცხოველია
სურათზე დახატული



**აქლემი** — სიტყვაა.

დადე სიტყვის აღმნიშვნელი ფირფიტა.
წარმოთქვი სიტყვები არწივი, აქლემი ისე, რომ პირველი ბგერა ისმოდეს სხვა დანარჩენ ბგერებზე ხანგრძლივად:

**აააარწივი, ააააქლემი.**

რომელი ბგერა ისმის ხანგრძლივად?

**2.** დაათვალიერე სურათები. პირველ სურათზე ხატია ატამი, მეორეზე ალუბალი. მაჩვენე ალუბალი, ატამი.





ატამი, ალუბალი სიტყვებია. აღნიშნე თითოეული სიტყვა ფირფიტით. წარმოთქვი სიტყვები ატამი, ალუბა-ლი ისე, რომ პირველი ბგერა ისმოდეს დანარჩენ ბგერებზე ხანგრძლივად: **აააატამი, აააალუბალი**. რომელი ბგერა ისმის ხანგრძლივად?

**3.** ა - ვმღერით, ა - ვბრაზდებით,

ა - ვტირით, ა - ვყვირით.

**მოვისმინეთ და ვიცით ყველამ,**
**როგორ ჟღერს ანბანის პირველი ბგერა.**

**4.** გაიმეორე ყოველი სიტყვა ისე, რომ ბგერა ა ისმოდეს სხვა ბგერებზე ხანგრძლივად: **ია, ვარდი, ტიტა, გვირილა.**



წარმოთქვი ბგერა ა ასე: აააააა...

მიაქციე ყურადღება: ა ბგერის წარმოთქმის დროს პირი ფართოდ არის ღია.

ბგერა ა წარმოითქმის ხმით.

**5.** დაათვალიერე სურათები, რომლებზეც დახატულია ზღაპრის გმირები: მაჩვენე სიზმარა, წუნა, წრუწუნა. გამოყავი ბგერა ა ამ სიტყვებში: **წუნააა, წრუწუნააა.** ფართოდ არის პირი ღია თუ არა, როცა წარმოთქვამ ა ბგერას? როგორ წარმოითქმის ბგერა ა: ხმით თუ უხმოდ?



**6**. დაათვალიერე სურათები. დაასახელე ყველა საგანი სათითაოდ. დაალაგე წითელი ფერის წრეები იმ სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ა**. წარმოთქვი ეს სიტყვები ისე, რომ გამოყო ბგერა **ა**.











დაასახელე საერთო სიტყვით: მაგიდა, სკამი, კარადა, ტუმბო, ტელევიზორი, საწოლი, სავარძელი, ტახტი.

გამოყავი სიტყვაში — **ავეჯი** ბგერა **ა**.

**7**. დაათვალიერე სურათები. დაასახალე საგნები.







ჩაიდანი, ფინჯანი, ლამბაქი, კოვზი, ჭიქა, საშაქრე, თეფში. ჩანგალი, ქვაბი — **ჭურჭელია**.

ჩამოთვალე ჭურჭელი, რომლის სახელწოდებაში არის ბგერა **ა**. დაამტკიცე შენი პასუხის სისწორე: წარმოთქვი ეს სიტყვები ისე, რომ ბგერა **ა** ისმოდეს ყველა დანარჩენ ბგერაზე ხანგრძლივად.



**8.** ეს პატარა ბიჭი არის მაუგლი. აღნიშნე სიტყვა — **მაუგლი** ფირფიტით. მაჩვენე ის ცხოველები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ა.



**ბგერა ა წარმოითქმის ხმით. კბილები და ტუჩები არ უქმნიან დაბრკოლებას ჰაერნაკადს. ბგერა ა ხმოვანია. ხმოვან ბგერას აღვნიშნავთ წითელი ფერის წრით.**

**9**. რომელი ზღაპრის გმირები არიან სურათზე? წარმოთქვი სიტყვები – **ფიფქია, ჯუჯა** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს ბგერა **ა**. სად ისმის ბგერა **ა**, სიტყვის თავში თუ ბოლოში?



**10**. ასწიე წითელი ფერის წრე, როცა სიტყვებში მოისმენ **ა** ბგერას: ძმა, ვეფხვი, აგური, ასანთი, დოლი, ანკესი, კოვზი, ატამი.

**11** სად ისმის ბგერა **ა:** სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში? ალბომი, სურათი, დედა.

**12**. ბავშვები, რომლებიც ჩქარა ლაპარაკობენ, ხშირად არ აბოლოებენ სიტყვებს. ნაცვლად სიტყვისა — **სკამი** ამბობენ **სკამ**, **დანა** — **დან**. მოდით ვითამაშოთ. მეც მათ მივბაძავ. თქვენ კი, წარმოთქვით სიტყვა სწორად და დაასახელეთ ბგერა, რომელსაც მე "ჩავყლაპავ".

**კარად**☐ **კაბ**☐ **ფარდ**☐

**ქურ**☐ **ჯუჯ**☐ **ტაფ**☐

**13.** ბავშვებო! მე წარმოვთქვამ სიტყვის ნაწილს, თქვენ კი დაასახელეთ მთელი სიტყვა ისე, რომ მკაფიოდ ისმოდეს "დაკარგული" ბგერა.

| | | |
|---|---|---|
| ☐ **სანთი** | ☐ **ტლასი** | ☐ **ნანასი** |
| ☐ **ქლემი** | ☐ **რჩილი** | ☐ **რფა** |

**14.** დაამთავრე წინადადება იმ სიტყვით, რომელიც იწყება **ა** ბგერით. გამოიყენეთ სურათები.

*გზაზე მიდის.....*






*ბაღში ყვავის..*






**15**. მე ჩამოვთვლი სიტყვებს. თქვენ გაიმეორეთ ის სიტყვები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურთი | ჭერი | სკამი | შოთი |
| კოჭი | ნავი | ნაძვი | ქვაბი |
| თარო | ქოში | ხორცი | კასრი |

# ასო ა



**16**. ანიკოს დედამ აჩუქა ასო ა
ფორმის საყურე.
ანიკო სიხარულისგან
ცეკვავს, ტრიალებს, ბზრიალებს,
ასო "ა" ანის ყურებზე
ოქროსფრად ელავს, ბრჭყვიალებს.

**17**. ასწიე ასო ა, როცა სიტყვაში მოისმენ ა ბგერას: მგელი, ხელი, კარი, სოკო, დაფა, ფარდა, თხილი, ხაჭო.

გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე?

ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ა?







ბავშვებო!
დაეხმარეთ
თაგუნიას.
რა ასოს დაწერა
უნდა თაგუნიას?



გააფერადე სურათი.
ჯამბაზის ღილები და ბურთები გააფერადე იმ ფერის ფანქრით, რომლის სახელწოდებაშიც ისმის ბგერა ა.







# ბ გ ე რ ა ო

**18**. დაათვალიერე სურათები. მაჩვენე **ობობა**, **ონკანი**, **ოფოფი**, ციფრები — **ორი**, **ოთხი**.







დაასახელე ეს საგნები ისე, რომ ბგერა **ო** ისმოდეს დანარჩენ ბგერებზე ხანგრძლივად.

წარმოთქვი ბგერა **ო** აი ასე: **ოოო**

**მიაქციე ყურადღება**: ბგერა **ო** წარმოითქმის ხმით. ტუჩები და ენა არ წარმოქმნიან დაბრკოლებას.

**ო — ტუჩები მოვამრგვალოთ,**
**ო — ნარნარად წავიმღეროთ.**
**რა "ბუბუნა" ხმა იღვრება,**
**ჩვენი ენა და ტუჩები,**
**ოდნავადაც არ იღლება.**

**19**. მაჩვენე და დაასახელე ბოსტნეული, რომლის სახელწოდებაში არის ბგერა **ო**.



სტაფილო, პომიდორი, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო, ნიორი, წიწაკა — **ბოსტნეულია**. დაასახელე კიდევ რა ბოსტნეული იცი.

**20**. დაათვალიერე სურათები. სად ზის ციყვი? რა ჰქვია ციყვის სახლს? წარმოთქვი სიტყვა **ფუღურო** ისე, რომ გარკვევით ისმოდეს ბოლო ბგერა.





სად არის მელია?
მელიის სახლს ჰქვია **სორო**.
წარმოთქვი სიტყვა **სორო** ისე, რომ ბგერა **ო** ისმოდეს ხანგრძლივად.
როგორი ბგერაა **ო**?

**21**. ასწიე წითელი ფერის წრე, როცა ჩამოთვლილ სიტყვებში მოისმენ **ო** ბგერას:

**კატა, კოკა, ფანჯარა, პალტო, ჩოხა, ქუდი, უთო, ოქრო, პური.**

**22**. მე წარმოვთქვამ სიტყვებს ბოლო ბგერის გარეშე. თქვენ, ბავშვებო, დაასახელეთ ბოლო ბგერა, შემდეგ კი სიტყვა.

| | | |
|---|---|---|
| **საზამთრ** ☐ | **სათამაშ** ☐ | **სოკ** ☐ |
| **სპილ** ☐ | **ურ** ☐ | **მარა** ☐ |
| **კაკა** ☐ | **სალარ** ☐ | **რკ** ☐ |

**23**. გაიმეორეთ მხოლოდ ის სიტყვები, რომელთა სახელწოდებაში ბგერა **ო** ისმის შუაში.

| | | |
|---|---|---|
| **ბუკი** | **კარტოფილი** | **პური** |
| **ბროლი** | **რვეული** | **ბროლია** |

**24**. მე წარმოვთქვამ ორ ბგერას ერთად, ერთი ამოსუნთქვით. თქვენ კი წარმოთქვით ცალ-ცალკე, ჯერ პირველი, შემდეგ მეორე ბგერა.

**აო, ოა.**

**25**. მე წარმოვთქვამ ორ ბგერას ცალ-ცალკე. თქვენ კი ორივე ბგერა წარმოთქვით ერთად, ერთი ამოსუნთქვით: **ა, ო; ო, ა.**

# ასო ო

**26**. მაჩვენე ასო **ო**, როცა ჩამოთვლილ სიტყვებში მოისმენ ო ბგერას:

**სკოლა, ჯოხი, ბუზი, სწორი, მაღალი,**
**ოთხი, ქუსლი, ბოროტი, ფართო, მთვარე.**



**27** დაასახელე საპირისპირო სიტყვები:

**მაღალი — (დაბალი),**
**სწორი — (ირიბი),**
**ბოროტი — (კეთილი),**
**ფართო — ..................... (ვიწრო).**

**28**. გამოიცანი წელიწადის რა დროა.



ქარიანი ამინდები,
წვიმიანი დღეები,
თბილისობის ზეიმი,
ხვავიანი თვეები.

ჩემი ქვეყნის მიწა-წყალი ოქროსფერად ელავს,
წელიწადის ამ დროს რთველი უზმობს ყველას.

რამდენჯერ ისმის ბგერა **ო** სიტყვაში **შემოდგომა?**

ხმით წარმოითქმის თუ არა ბგერა **ო**?
უქმნიან თუ არა წინააღმდეგობას ენა, ტუჩები, კბილები ჰაერნაკადს?
როგორი ბგერებია **ა**, **ო**? როგორი ფერის წრეებით აღენიშნავთ **ა**, **ო** ბგერებს?



ბავშვებო!
დაეხმარეთ
დათუნიას.
რა ასოს დაწერას
ცდილობს დათუნია?



გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ო?







# ბ გ ე რ ა უ

**29**. შეხედე სურათებს. ეს მწერებია. ამ მწერებიდან რომლის სახელწოდებაში არის ბგერა უ? წარმოთქვი ეს სიტყვები ისე, რომ მკაფიოდ ისმოდეს ბგერა უ.



**მიაქციე ყურადღება:** ბგერა უ წარმოითქმის ხმით. კბილები, ენა, ტუჩები არ ქმნიან წინააღმდეგობას უ ბგერის წარმოთქმის დროს. ბგერა უ ხმოვანია.

**ტუჩები წინ წამოვწიოთ**
**ვითომ გვინდა სტვენა.**
**გამოუშვათ ჰაერი**
**თან გამოყვა ბგერა — უუუ**

**უ — საყვირი ყვირის**
**უ — ორთქმავალი კივის**
**უ — მგელი ყმუის**



**30**. დააკვირდი სურათებს.



თუ იცი, ყველა ამ საგანს რა ჰქვია? დააწყვე წითელი ფერის წრეები იმ სათამაშოებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა უ.

**31**. ასწიე წითელი წრე, როცა ჩამოთვლილ სიტყვებში მოისმენ ხმოვან უ ბგერას:

**თითი, თუთა, თოჯინა, კუ, ჭიქა, ულვაში.**

**32**. დაასახელე დახატული საგნები და გააფერადე მხოლოდ ის ნახატები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა უ.





**33**. მოისმინე ლექსი:

**ბროლია და ყურშა მეგობრები არიან,**
**საითაც არ გაიხედავ, ყველგან ერთად დადიან.**
**ოთხი ლეკვი ყურშასა ჰყავს,**
**ოთხი ლეკვი ბროლიას,**
**ოთხს რომ ოთხი მივუმატოთ**
**სულ რვა ლეკვი ჰყოლიათ.**
**მსუნაგები არიან, ვერ აჯობებთ ჭამაში,**
**ძლიერ უყვართ ხეირნობა, ცეკვა, ხტუნვა, თამაში.**
**ძილის დრო რომ დადგება,**
**ურჩობას ვერ ბედავენ.**
**დაწვებიან, იძინებენ**
**და ტკბილ სიზმრებს ხედავენ.**

რისი სახელია ბროლია, ყურშა?

რომელი ძაღლის სახელში ისმის ბგერა უ? წარმოთქვი სიტყვა **ყურშა** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს ბგერა უ.

როგორი ბგერაა უ?

**34**. თქვენ წარმოთქვით ბგერა უ, მე კი დავამთავრებ სიტყვას. რა სიტყვა მივიღეთ?

| | | |
|---|---|---|
| **უ — ზანგი** | **უ — მარილო** | **უ — ლვაში** |
| **უ — რდული** | **უ — რიკა** | **უ — შანგი** |

**35**. გაიმეორეთ ჩემ მიერ წარმოთქმული სამი ბგერა ჯერ ერთად, შემდეგ ცალ-ცალკე: **აოუ, ოაუ, უოა, უაო, აუო, ოუა.**

# ასო უ

**36**. ასწიე ასო უ, როცა მოისმენ უ ბგერას ჩამოთვლილ სიტყვებში:

**წიწილა, ინდაური, ქუჩა, ხურმა, ხილი, ფუნთუშა, ქოთანი, ქურა.**



**37**. რა ხატია სურათზე?

**ბარტყები სხედან ბუდეში** — ეს წინადადებაა და აღინიშნება გრძელი ფირფიტით. რომელია პირველი სიტყვა? აღნიშნე სიტყვის აღმნიშვნელი ფირფიტით. რომელია მეორე სიტყვა? აღნიშნე ფირფიტით. რომელია მესამე სიტყვა? აღნიშნე ფირფიტით. რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? წარმოთქვი სიტყვა **ბუდე** ისე, რომ გამოყო ბგერა უ.

აღნიშნე გრძელი ფირფიტით წინადადება — **დათვი წევს ბუნაგში.**

რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე? აღნიშნე თითოეული სიტყვა მოკლე ფირფიტით.



წარმოთქვი სიტყვა — **ბუნაგი** — ისე, რომ ხანგრძლივად ჟღერდეს ბგერა უ.

დაასრულე ნახატები.



რა ნაწილი აკლია სახლს?





დახატე სახურავი, ყურები, ბუშტები.

**38**. ყურადღებით დაათვალიერე სურათები. რისი დახატვა დაავიწყდა მხატვარს პირველ სურათზე? მეორეზე?

არის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა უ? დაამტკიცე პასუხის სისწორე.



**39**. როგორ ეხმიანებიან ადამიანები ერთმანეთს ტყეში? სურათის ქვეშ დახაზულია უჯრედები. ისინი იმდენია, რამდენი ბგერაც არის სიტყვაში აუ. დათვალე! რამდენი უჯრაა? რამდენ ბგერას აღნიშნავს ორი უჯრა? წარმოთქვი სიტყვა აუ ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს პირველი ბგერა: — ააააუ. რომელია პირველ ბგერა? დადე წითელი წრე პირველ უჯრაზე. დაასახელე ბგერა, რომელიც აღნიშნე წითელი წრით. წარმოთქვი სიტყვა ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს მეორე



ბგერა — აუუუუ.

დადე წითელი წრე მეორე უჯრაზე. რომელი ბგერა აღნიშნე წითელი წრით?

მაჩვენე სქემაზე ა ბგერის ადგილი, უ ბგერის ადგილი. რომელი ბგერა ისმის ა ბგერის შემდეგ?



ბავშვებო!
დაეხმარეთ ბაჭიას.
რა ასოს დაწერა
უნდა ბაჭიას?

უ

გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **უ**?







# ბგერა ე

**40**. დაათვალიერე სურათები. დაასახელე თითოეული მათგანი. წარმოთქვი პირველი ბგერა ხანგრძლივად.















რომელი ბგერაა? წარმოთქი მკაფიოდ ბგერა ე.

მიაქციე ყურადღება: ბგერა ე წარმოითქმის ხმით. ტუჩები, კბილები და ენა ე ბგერის წარმოთქმისას არ ქმნიან დაბრკოლებას. ბგერა ე ხმოვანია.

**ე ბგერის წარმოთქმა სულ არ არის ძნელი**
**გამოტყორცნილ ჰაერნაკადს არ ეშლება ხელი.**
**პირი ოდნავ გაალე, ენა ქვემოთ დაწიე.**
**აბა! სწრაფად წარმოთქვი და ხმასაც „აუწიე" — ეეე...**

**41**. გააფერადე სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ე.



**42**. როგორი ცხოველია მგელი, მელია, დათვი, ლომი, ბეჰემოტი, ვეფხვი?













დაალაგე წითელი ფერის წრეები იმ გარეულ ცხოველებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ე.

**43**. რა ხატია სურათზე? რამდენი ე ბგერაა სიტყვაში **ხელები**



დაიმახსოვრე გადატანითი მნიშვნელობის წინადადებები:

**ოქროს ხელები, მარჯვე ხელები, თბილი ხელები.**

**მიაქციე ყურადღება:** სიტყვებში **ხელი, ხელმარჯვე, ხელთათმანი, ხელგაშლილი, ხელმრუდე, ხელმოკლე** არის საერთო ნაწილი **ხელ**.

**თუ გამოგდის ყველაფერი,**
**ხელებს ხმარობ მარჯვედ,**
**მაშინ, ჩემო მეგობარო,**
**ყოფილხარ ხელმარჯვე.**

**თუ არაფერს დაინანებ,**
**არ ხარ ძუნწი შვილი,**
**მაშინ, ჩემო მეგობარო,**
**გქვია ხელგაშლილი.**

**არასოდეს მოიპარო,**
**არ გაივლო აზრი მრუდე,**
**მეგობრები გაგკილავენ,**
**დაგიძახებენ ხელმრუდე.**

# ასო ე

**44**. მაჩვენე ასო ე, როცა მოისმენ სიტყვაში ე ბგერას:

**დედა, ეტლი, სახე, სახურავი, ენა, ქვაბი, სამი, ერთი.**

**45**. დაალაგე წითელი ფერის წრეები იმ სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ე.





ბავშვებო!
დაეხმარეთ ყურშას.
რა ასოს დაწერა
უნდა ყურშას?




გააფერადე სურათები. რა
ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ
სიტყვებში ბგერა ე?







# ბ გ ე რ ა ი

**46.** მთის ფერდობზე ბუჩქის ძირას,
ეს რა იძრობს თოვლის საბანს?
ლურჯი კაბით შემოსილა
თან გვაუწყებს ზამთრის გასვლას.

წარმოთქვი სიტყვა **ია** ისე, რომ გარკვევით ისმოდეს ბგერა **ი**. რა არის ია? **ია ყვავილია** — ეს არის წინადადება. აღნიშნე წინადადება გრძელი ფირფიტით. დაასახელე ამ წინადადებაში პირველი სიტყვა. აღნიშნე იგი სიტყვის აღმნიშვნელი ფირფიტით. დაასახელე მეორე სიტყვა. აღნიშნე მეორე სიტყვა ფირფიტით. რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში?

**მიაქციე ყურადღება:** **ი** ბგერის წარმოთქმისას კბილები და ტუჩები არ უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს. ბგერა **ი** წარმოითქმის ხმით. ბგერა **ი** არის ხმოვანი.

რომელი ფერის წრით აღვნიშნავთ **ი** ბგერას?

აბა! კარგად გაიღიმე,
ენის წვერი ძირს დაუშვი,
კბილებს შიგნიდან შეახე,
წკრიალა ხმა თავისუფლად გამოუშვი **იიიი...**

**47** დაასახელე ყველა საგანი ცალ-ცალკე.





დაასახელე საერთო სიტყვით ყველი, ძეხვი, სოსისი, შაქარი, პური, კვერცხი, კანფეტი. ხანგრძლივად წარმოთქვი ბოლო ბგერა სიტყვაში **სურსათიიიიი**.

რაზე წონიან სურსათს? რომელი ბგერა ისმის სიტყვის ბოლოში — **სასწორი**.

დააწყვე წითელი ფერის წრეები სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ი**.

**48.** **ყოველ დილით რწყავენ პატარები ბაღს,**
**ეზოს კარგად უვლიან, არ ზოგავენ თავს.**
**მაგრამ ბაღში ყვავილი ერთიც კი არ ხარობს,**
**მოიფიქრე რამე — იქნებ დაეხმარო?**

რა უნდა დახატო სურათზე? დახატე ყვავილები შენი სურვილით. რა ჰქვია ამ ყვავილებს? მაჩვენე ის ყვავილები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ი**.



მიაქციე ყურადღება: სიტყვებს **ყვავილი**, **ყვავილნარი**, **საყვავილე**, აქვთ საერთო ნაწილი ყვავილ.

**49**. დაათვალიერე სურათი. რა აწყვია თეფშებზე?



ატამი, ვაშლი, ბალი — რა არის?

დახატე ცარიელ თეფშზე ნებისმიერი ხილი, რომლის სახელწოდებაში არის ბგერა **ი**. კიდევ რა ხილი იცი? არის მათ სახელწოდებაში ბგერა **ი**?

წარმოთქვი ბგერა **ი** ისე, რომ დანარჩენ ბგერებზე ხანგრძლივად ისმოდეს.

**ა ს ო ი**

**50**. ასწიე ასო **ი**, როცა მოისმენ სიტყვებში **ი** ხმოვანს:

**სათამაშო, ირემი, კვამლი, სურა, იხვი, წვიმა, მთვარე, თეთრი, ქვა, თოჯინა.**

**51**. მე წარმოვთქვამ სიტყვას ბოლო ბგერის გარეშე. თქვენ, ბავშვებო, დაასახელეთ სიტყვა და შემდეგ ბოლო ბგერა.

**ბორბალ**☐ **რვეულ**☐ **ქარქაშ**☐

**საწოლ**☐ **ქუსლ**☐ **კამეჩ**☐

**52**. თქვენ წარმოთქვით ბგერა, მე კი დავამთავრებ სიტყვას. რა სიტყვაა?

**ი — ნდაური** **ი — რაკლი** **ი — არაღი**

**ი — სარი** **ი — რემი** **ი — ნდოეთი**

**ი — ატაკი** **ი — ასამანი** **ი — ხვი**

**53**. წარმოთქვი ბგერა **ი** ხანგრძლივად. როგორი ბგერაა **ი**?

დაასახელე საპირისპირო სიტყვები:

**ცხელი —** **(ცივი)** **მოხარშული —** **(უმი)**

**მზიანი —** **(ღრუბლიანი)** **სქელი —** **(თხელი)**

მოიფიქრე წინადადება, რომელშიც იქნება სიტყვა — **უმი**.

შეადგინე წინადადება, რომელშიც იქნება სიტყვა — **მზიანი**.

აღნიშნე წინადადება შესაბამისი ზომის ფირფიტით.

აღნიშნე წინადადებაში შემავალი სიტყვები შესაბამისი ზომის ფირფიტებით.

**54**. ჩამოთვალე ხმოვანი ბგერები. რა აქვთ საერთო ა, ი, ე, ო, უ ბგერებს? როგორი ფერის წრით აღინიშნება ხმოვნები? გაიხსენე რომელი სიტყვები იწყება ა ბგერით? ი ბგერით? ო ბგერით? უ ბგერით? ე ბგერით?



ბავშვებო! დაეხმარეთ ვეფხვს. რა ასოს დაწერას ცდილობს ვეფხვი?





# ბგერა ფ

**55**. რა ხატია სურათზე?

წარმოთქვი სიტყვა **ფაფა** ისე, რომ პირველი ბგერა ისმოდეს სხვა ბგერებზე ხანგრძლივად – **ფფფაფა**. წარმოთქვი ამ სიტყვის პირველი ბგერა. დამარცვლე სიტყვა – **ფა-ფა**. რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? რომელია პირველი მარცვალი? მეორე?









**56**. დააკვირდი სურათებს.















მე დავასახელებ საგანს, მხოლოდ "ჩავყლაპავ" პირველ ბგერას. თქვენ მაჩვენეთ სურათზე ეს საგანი, დაასახელეთ და შემდეგ წარმოთქვით პირველი ბგერა.

☐ ლამინგო

☐ ეხსაცმელი ☐ არშევანგი ☐ უნჯი

☐ ოთოლი ☐ ანქარი ☐ ეხი

**57**. ბავშვებო, თქვენ წარმოთქვით ბგერა **ფ**, მე კი დავამთავრებ სიტყვას. რა სიტყვა მივიღეთ?

| | | |
|---|---|---|
| **ფ — უნჯი** | **ფ — ოცხი** | **ფ — ული** |
| **ფ — იფქი** | **ფ — არდა** | **ფ — ქვილი** |

**58**. რას თამაშობენ ბიჭები?



რომელი ბგერით იწყება სიტყვა **ფეხბურთი**? რა ჰქვიათ სპორტსმენებს, რომლებიც თამაშობენ ფეხბურთს? რომელია პირველი ბგერა სიტყვაში **ფეხბურთელი**? რა ჰქვია მოედანს, რომელზეც თამაშობენ ფეხბურთს?

**მიაქციე ყურადღება:** სიტყვებს: ფეხბურთი, ფეხბურთელი, ფეხბურთის (მოედანი) აქვთ საერთო ნაწილი **ფეხბურთ**.

**59**. ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები.



გამოყავი ბგერა **ფ**.
მაგალითად: ჟირაფფფფი, სტაფფილო...

**მიაქციე ყურადღება:** **ფ** ბგერის წარმოთქმის დროს წინააღმდეგობას ქმნიან ტუჩები. ბგერა **ფ** თანხმოვანია.

**ფ** ბგერას აღვნიშნავთ ლურჯი ფერის წრით.

**60**. გაიმეორეთ მარცვლები: **ფა**, **ფო**, **ფუ**, **ფე**, **ფი**.
რომელია პირველი ბგერა **ფა** მარცვალში? როგორი ფერის წრით აღვნიშნავთ **ფ** ბგერას? ასწიეთ ლურჯი წრე. რომელია მეორე ბგერა? როგორი ფერის წრით აღვნიშნავთ **ა** ბგერას? ასწიეთ წითელი წრე. წარმოვთქვათ ბგერები ცალ-ცალკე **ფ-ა**, შემდეგ კი ერთად **ფა**. გაიმეორეთ მარცვლები: **აფ**, **ოფ**, **უფ**, **ეფ**, **იფ**. რომელია პირველი ბგერა **უფ** მარცვალში?

როგორი ფერის წრით აღვნიშნავთ უ ბგერას? ასწიეთ წითელი წრე. რომელია მეორე ბგერა? როგორი ფერის წრით აღვნიშნავთ ფ ბგერას? ასწიეთ ლურჯი წრე. წარმოთქვით ბგერები ცალ-ცალკე უ-ფ შემდეგ კი ერთად უფ.

**61**. გამოიცანი, რომელი ბგერა გაქრა სიტყვიდან?

(ბგერა ფ შევცვალოთ პაუზით).

**და□ა   თა□ლი   □იფქია   კან□ეტი**

**თო□ი   □ული   სა□ულე   □უნჯი**

# ასო ფ

**62**. ასწიე ასო ფ, როცა მოისმენ ფ ბგერას ჩამოთვლილ სიტყვებში: **დანა, ფინია, დაფა, ქოთანი, ქაფი, ტაფა, ქალი, ტელეფონი.**

**63**. გააფერადე სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ფ.







**64**. რომელი საგნის სახელწოდება იწყება ფ ბგერით?

გაავლე ხაზი ამ საგანსა და ფ ასოს შორის.




ფ




დაასახელე ეს საგნები ისე, რომ **ფ** ბგერა ხანგრძლივად ჟღერდეს სხვა დანარჩენ ბგერებზე: **ფფფუნთუშა**, **ფფფუტკარი**, **ფფფორთოხალი**.

**65**. დააკვირდი სურათებს. დაასახელე თითოეული მათგანი.








რა ბგერით იწყება სიტყვა – **ფანქარი**? პირველ უჯრაზე დადე ამ ბგერის აღმნიშვნელი ფერის წრე. რა ბგერით იწყება სიტყვა ალამი? დადე ამ ბგერის აღმნიშვნელი ფერის წრე მეორე უჯრაზე.

რა ბგერით იწყება სიტყვა ფოთოლი? აიღე ამ ბგერის აღმნიშვნელი ფერის წრე და დადე მესამე უჯრაზე. რა ბგერით იწყება სიტყვა – **აქლემი**? დადე მეოთხე უჯრაზე ამ ბგერის აღმნიშვნელი ფერის წრე. „წაიკითხე" სიტყვა. რა სიტყვა შეადგინე?

შეცვალე ბგერების აღმნიშვნელი წრეები შესაბამისი ასოებით და ისე წაიკითხე სიტყვა. რა ბგერით იწყება სიტყვა ფაფა? რა ბგერაა **ფ** ბგერის შემდეგ? როგორ წარმოვთქვამთ **ფ** და **ა** ბგერებს ერთად? წაიკითხე მესამე ბგერა. მეოთხე ბგერა. ეხლა კი ორივე ბგერა ერთად. რა მარცვალი მიიღე?



ბავშვებო!
დაეხმარეთ ჩიორას.
რა ასოს დაწერა
უნდა ჩიორას?




გააფერადე სურათები. რა
ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ
სიტყვებში
ბგერა ფ?







# ბგერა პ

**66**. დააკვირდი სურათს.

ვინ ხატია სურათზე?

წარმოთქვი სიტყვა **პაპა** ისე, რომ პირველი ბგერა ისმოდეს სხვა ბგერებზე ხანგრძლივად - **პპპპაპა**.

წარმოთქვი ამ სიტყვის პირველი ბგერა.





რა მწერი ზის ყვავილზე?

წარმოთქვი სიტყვა პეპელა ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს პირველი ბგერა - **პპპპეპელა**.

წარმოთქვი ამ სიტყვის პირველი ბგერა. დამარცვლე სიტყვები:

**პაპა** და **პეპელა**.

რამდენი მარცვალია პირველ სიტყვაში? მეორეში?





**67**. ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. გამოყავი პირველი ბგერა. რომელი ბგერაა? წარმოთქვი ბგერა **პ** აი ასე: **პპპპპ**....



**68**. დააკვირდი სურათს. სად დევს საპონი? სად არის სასაპნე? სად კიდია პირსახოცი? რას აკეთებს მაია?

**მიაქციე ყურადღება:**

სიტყვებს

**პირი, პირსაბანი, პირსახოცი —**

აქვთ საერთო ნაწილი

**პირ.**



**მიაქციე ყურადღება:** **პ** ბგერის წარმოთქმის დროს ტუჩები ქმნიან წინააღმდეგობას. ტუჩები მოკუმულია. ბგერა **პ** თანხმოვანია. აღინიშნება ლურჯი ფერის წრით.

**69.** დაალაგე ლურჯი ფერის წრეები იმ სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **პ**, ხოლო წითელი ფერის წრეები იმ სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ა.



**70.** გამოიცანი, რომელი ბგერა გაქრა სიტყვიდან?

| | | |
|---|---|---|
| ☐ **ალტო** | ☐ **ირი** | ☐ **ერანგი** |
| ☐ **ური** | ☐ **ალმა** | ☐ **იანინო** |

**71.** მკაფიოდ წარმოთქვი ბგერა **პ**, მე კი დავამთავრებ სიტყვას. რა სიტყვა მივიღეთ?

| | | |
|---|---|---|
| **პ — ეპელა** | **პ — რასი** | **პ — ირსაბანი** |
| **პ — აპა** | **პ — ირსახოცი** | **პ — არასკევი** |

**72.** გაიმეორე შემდეგი მარცვლები: **პა, პი, პე, პო, პუ.**

**პა-პი, პე-პო, პუ-პა, პა-პე-პო, პა-პო-პი...**

რომელი ბგერა ისმის **პო** მარცვალში თავში და რომელი ბოლოში? ასწიეთ შესაბამისი ფერის წრეები.

რომელია პირველი ბგერა მარცვალში **ოპ** და რომელია მეორე ბგერა? ასწიეთ შესაბამისი ფერის წრეები. წარმოთქვი მარცვალი **პა**, მე დავამთავრებ სიტყვას.

რა სიტყვა მივიღეთ?

| | | |
|---|---|---|
| პა — ტარა | პა — რკი | პა — ტრონი |
| პა — ემანი | პა — რაშუტი | პა — სუხი |

# ასო პ

**73**. მოძებნე სურათები, რომელთა სახელწოდება იწყება **პ** ბგერით და ხაზით შეაერთე **პ** ასოსთან.





პ





**74**. მაჩვენე ასო **პ**, როცა მოისმენ სიტყვაში **პ** ბგერას: **ქუჩა, თარო, აპრილი, დიდი, პასუხი, სანაპირო, აფთარი, დაპირება.**

დაასახელე საპირისპირო სიტყვები:

| | | |
|---|---|---|
| **დიდი** | — | **(პატარა)** |
| **ჩქარა** | — | **(ნელა)** |
| **ახლოს** | — | **(შორს)** |
| **განიერი** | — | **(ვიწრო)** |



ბავშვებო!
დაეხმარეთ ბაჭყატას.
რა ასოს დაწერა უნდა ბაჭყატას?




გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე?

ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **პ**?







# ბგერა ბ

**75**. რა ხატია სურათზე?



წარმოთქვი სიტყვა – **ბამბა** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს






მხოლოდ პირველი ბგერა – **ბბბბამბა**.



ვინ არის ბიჭუნასთან?

წარმოთქვი სიტყვა **ბებია** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს პირველი ბგერა – **ბბბებია**.

რა ბგერით იწყება სიტყვები:

**ბამბა, ბებია?**

დამარცვლე სიტყვა –

**ბამ-ბა.**

რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში?
რომელია პირველი მარცვალი? მეორე?







დამარცვლე სიტყვა – **ბე – ბი – ა.**
რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში?

რომელია პირველი მარცვალი? მეორე? მესამე?



**76**. მაჩვენე სათამაშო სკამზე. სად ზის ბაჭია? მაჩვენე სათამაშო სკამის ქვეშ. სად არის ბურთი?

წარმოთქვი სიტყვები: **ბაჭია, ბურთი**.

რა ბგერით იწყება ეს სიტყვები? დაამტკიცე პასუხის სისწორე. ხანგრძლივად წარმოთქვი პირველი ბგერა.



**77** დააკვირდი სურათს. სად ზის ბულბული, სად არის ბუდე? რა არის ბუდეში? წარმოთქვი სიტყვები **ბულბული, ბუდე, ბარტყები** ისე, რომ ბგერა **ბ** ისმოდეს დანარჩენ ბგერებზე ხანგრძლივად. მიაქციე ყურადღება: **ბ** ბგერის წარმოთქმის დროს ტუჩები მოკუმულია და უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს. ბგერა **ბ** თანხმოვანია.

**78**. ჩამოთვალე სურათზე დახატული ბოსტნეული. რა ბგერით იწყება სიტყვა ბოსტნეული. მაჩვენე ის **ბოსტნეული**, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ბ**.



**79.** წარმოთქვი მარცვალი **ბა**, მე კი წარმოვთქვამ მეორე მარცვალს. რა სიტყვა მივიღეთ?

| | |
|---|---|
| **ბა — (ლი)** | **ბა — (ტი)** |
| **ბა — (დე)** | **ბა — (რი)** |
| **ბა — (ცი)** | **ბა — (ჭია)** |
| **ბა — (ნი)** | **ბა — (ლი)** |

**80.** დაათვალიერე ნახატები. ყველა ამ საგნის სახელწოდება ერთი და იგივე ბგერით იწყება. რა ბგერაა ის?



**81.** მე წარმოვთქვამ სიტყვის ნაწილს. თქვენ დაამთავრეთ სიტყვა **ბა** მარცვლით. რა სიტყვა მივიღეთ?

| | | |
|---|---|---|
| **მურა — ბა** | **კა — ბა** | **ყულა — ბა** |
| **ბამ — ბა** | **შენო — ბა** | **ხეო — ბა** |

**82.** გააფერადე ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ბ**.



**83**. დააწყვე ლურჯი ფერის წრეები იმ სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ბ**, წითელი ფერის წრეები იმ სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ო**.



**84**. მოისმინე ყურადღებით და ასწიე შესაბამისი ფერის წრეები – **ბი**, **იბ**, **ბე**, **ებ**, **ბო**, **ობ**.

ა ს ო ბ

**85**. შეაერთე ხაზით **ბ** ასოსთან ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ბ**.



**86**. მაჩვენე ასო **ბ**, როცა ჩამოთვლილ სიტყვებში გაიგებ **ბ** ბგერას: ბინტი, ფოთოლი, ფუტკარი, ბატკანი, პარკი, ბაბუა, ბანანი.

**87**. ჩამოთვალე ეს საგნები. რა ბგერით იწყება სიტყვა — **ავტობუსი**? დადე **ა** ბგერის აღმნიშვნელი ფერის წრე პირველ უჯრაზე. რა ბგერით იწყება სიტყვა – **ბოთლი**? დადე **ბ** ბგერის აღმნიშვნელი ფერის წრე მეორე უჯრაზე. რა ბგერით იწყება სიტყვა – **ია**? დადე **ი** ბგერის აღმნიშვნელი ფერის წრე მესამე უჯრაზე. "წაიკითხე" სიტყვა. შეცვალე წრეები ასოებით და კვლავ წაიკითხე სიტყვა. რა ბგერაა პირველი? მეორე? მესამე? რა სიტყვა მიიღე?





**88**. რა ფრინველი ხატია სურათზე?

რამდენი უჯრაა ბგერითი შემადგენლობის სქემაზე? რამდენი ბგერაა სიტყვაში — **ბუ**? წარმოთქვი სიტყვა **ბუ** ისე, რომ მკაფიოდ ისმოდეს პირველი ბგერა. როგორი ბგერაა **ბ**? აიღე ლურჯი ფერის წრე და დადე პირველ უჯრაზე. რომელი ბგერა აღნიშნე ლურჯი წრით? წარმოთქვი სიტყვა ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს მეორე ბგერა. აღნიშნე ხმოვანი **უ** წითელი წრით. შეცვალე ლურჯი ფერის წრე **ბ** ასოთი, წითელი ფერის წრე **უ** ასოთი. წაიკითხე სიტყვა. რა სიტყვა წაიკითხე?





ბავშვებო!
დაეხმარეთ
სპილოს.
რა ასოს დაწერა
უნდა სპილოს?




გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე?

ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **ბ**?








# ბგერა მ

**89**. რა ხატია სურათზე?

წარმოთქვი სიტყვები: **მამა, მამალი**, ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს პირველი ბგერა – **მმმმამა, მმმმამალი**. რა ბგერით იწყება ეს სიტყვები? დამარცვლე სიტყვა – **მამა**. რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? რომელია პირველი მარცვალი? მეორე?



დამარცვლე სიტყვა – **მამალი**.

რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში?



რომელია პირველი მარცვალი? მეორე? მესამე მარცვალი?



**90**. დაასახელე სურათზე დახატული ცხოველები.






მაჩვენე და თქვი: რას ხედავ მელიას და მარტორქას შორის? მაიმუნსა და მგელს შორის? მელიასა და მგელს შორის? როგორი ცხოველები არიან?

წარმოთქვი მკაფიოდ ის ბგერა, რომლითაც იწყება ამ ცხოველების სახელწოდებები.

**მიაქციე ყურადღება:** მ ბგერის წარმოთქმის დროს ტუჩები ქმნიან წინააღმდეგობას.

ბგერა **მ** თანხმოვანია.

გაიხსენე! რომელი ბგერების წარმოთქმისას ქმნიან ტუჩები წინააღმდეგობას?

**91.** მაჩვენე სურათზე ის საგნები, რომელთა სახელწოდება იწყება **მ** ბგერით. წარმოთქვი ეს სიტყვები.



**92.** რა ფრინველებს ხედავ სურათზე?

რომელია შინაური ფრინველი? რომელია გარეული ფრინველი?

რა ბგერით იწყება მათი სახელწოდება?

რომელი ფრინველის სახელწოდებაში არის ორი **მ** ბგერა?



**93.** მოისმინე ლექსი. ასწიე ლურჯი ფერის წრე, როცა სიტყვის თავში მოისმენ **მ** ბგერას.

**მარიკას ტკბილად ეძინა**
**ზამთარი იყო, ციოდა,**
**ხმაურზე გამოეღვიძა,**
**თურმე მამალი ყიოდა.**
**მელია ეპარებოდა,**
**საწყალი ამას ჩიოდა.**

**94**. მოისმინე გამოცანა:

მატარებლით მგზავრობა სულ არ არის ძნელი,
ჩაჯექი მატარებელში და ჰერი, ჰერი.
ისე დაქრის მიწის ქვეშ,
არ ეშლება ხელი.

სხვა ტრანსპორტი იქ არ დადის, გვირაბია ბნელი. ამ ტრანსპორტის გამოცნობა არ უნდა იყოს ძნელი.

რომელი ბგერით იწყება სიტყვა — **მეტრო?**

**95**. გამოიცანი, რომელი ბგერა გაქრა სიტყვიდან? (ბგერა **მ** შევცვალოთ პაუზით).

| | | |
|---|---|---|
| **□ ერცხალი** | **□ სხალი** | **ლო □ ი** |
| **□ იხაკი** | **ლა □ ბაქი** | **ქათა □ ი** |
| **□ აი □ უნი** | **სი □ ინდი** | **□ ტევანი** |

მიაქციე ყურადღება:



**მტევანი**



**ასო მ**

**96**. ბავშვებო, თქვენ წარმოთქვით მარცვალი **მა**, მე კი დავასრულებ სიტყვას სხვა მარცვლით. რა სიტყვაა?

| | | |
|---|---|---|
| **მა — იმუნი** | **მა — ღალი** | **მა — ჯა** |
| **მა — ისური** | **მა — გარი** | **მა — რილი** |
| **მა — ტარებელი** | **მა — გიდა** | **მა — კარონი** |

**97**. მე წარმოვთქვამ სიტყვის ნაწილს, თქვენ უნდა დაასრულოთ სიტყვა და წარმოთქვათ მარცვალი **მა**.

| | | |
|---|---|---|
| **ჩექ — მა** | **ხურ — მა** | **კა — მა** |
| **ფორ— მა** | **ჩუქურთ — მა** | **ჯარი — მა** |

**98**. მაჩვენე ასო **მ**, როცა მოისმენ **მ** ბგერას პროფესიების აღმნიშვნელ სიტყვებში:


ექიმი


დალაქი


კოსმონავტი


დურგალი


გამყიდველი


მასწავლებელი


მშენებელი


მომღერალი


მძღოლი


ფეხბურთელი


მწერალი


მხატვარი


მოცეკვავე


ხელოსანი


მებაღე


მეზღვაური


მფრინავი


მეომარი


მზარეული


ელექტრიკოსი


მევიოლინე

რა პროფესიის არის ადამიანი, რომელიც აშენებს?
რა პროფესიის არის ადამიანი, რომელიც ასწავლის?
მიფრინავს კოსმოსში? ყიდის? მკურნალობს?...

**99**. ამოხსენით რებუსი.

მა  მა 

**100**. **მოისმინე ზღაპარი:**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. ცხოვრობდნენ მარტო. ერთ მშვენიერ, მზიან დღეს ისინი ისხდნენ თავის ეზოში და იყურებოდნენ გზისკენ. დაინახეს მოდის ძროხა. მოვიდა ძროხა ჭიშკართან და ეუბნება მოხუც კაცს:



– **მუ, მუ,**

– შემომიშვი შენ ეზოში. ყოველდღე მოგცემ რძეს. რძისგან გააკეთებ ყველს, კარაქს, მაწონს, ხაჭოს, ნადუღს, არაჟანს.

– შემოდი, უთხრა მოხუცმა კაცმა.



იყურებიან მოხუცები გზისკენ და დაინახეს მოდის ძაღლი. მოვიდა ძაღლი ჭიშკართან და ეუბნება მოხუცს:

– **ამ, ამ,** – შემომიშვი შენ ეზოში, შენი ერთგული მეგობარი ვიქნები.

– შემოდი, უთხრა მოხუცმა.

იყურებიან მოხუცები გზისკენ და დაინახეს მოდის კატა. მოვიდა კატა ჭიშკართან და ეუბნება მოხუც კაცს:

– **მიაუ, მიაუ,** – შემომიშვი შენ ეზოში. ვირთხებს და თაგვებს შენ საკუჭნაოს არ მივაკარებ.

– შემოდი, უთხრა მოხუცმა კაცმა.







იყურებიან მოხუცები გზისკენ და ხედავენ მოდის ცხვარი. მოვიდა ცხვარი ჭიშკართან და ეუბნება მოხუც კაცს: – **ბე, ბე,** – შემომიშვი შენ ეზოში. ყოველ წელს გამკრიჭეთ, მოაგროვეთ მატყლი, შეკერეთ საბანი, ლეიბი, მოიქსოვეთ თბილი ტანსაცმელი. მთელი ზამთარი თბილად იქნებით.

– შემოდი, უთხრა მოხუცმა კაცმა.



იყურება კეთილი ცოლ-ქმარი გზისკენ და დაინახეს მოდის ქათამი. მოვიდა ქათამი ჭიშკართან და ეუბნება მოხუც კაცს:

– **კო-კო-კო** – შემომიშვი ეზოში. ყოველდღე კვერცხს დავდებ – შემოდი, უთხრეს მოხუცებმა.



იყურებიან ისევ გზისკენ და დაინახეს მოდის ცხენი. მოვიდა ცხენი ჭიშკართან და ეუბნება მოხუც კაცს:

– **იჰი, იჰი** – შემომიშვით ეზოში. შეგისვამთ ზურგზე და საითაც მეტყვით, იქითკენ წაგიყვანთ.

– შემოდი, უთხრეს მოხუცებმა.

იხედებიან გზისკენ და დაინახეს მოდის ღორი. მოვიდა ღორი ჭიშკართან და ეუბნება მოხუც კაცს:

– **ღრუტ, ღრუტ** – შემომიშვით თქვენ ეზოში. მოგცემთ ჯაგარს, დაგრიხეთ თოკი, ბაწარი და ოჯახში გამოგადგებათ.



– შემოდი, უთხრა ცოლ-ქმარმა.

იყურებიან გზისკენ და დაინახეს მოდის მამალი. მოვიდა ჭიშკართან მამალი და ეუბნება მოხუც კაცს:

–შემომიშვით, ყოველ დილით გაგაღვიძებთ. ჩემებურად დავიყივლებ:



– **ყიყლიყო** და ბედნიერ, მშვიდობიან დღის გათენებას გისურვებთ.

– შემოდი, უთხრეს მოხუცებმა.

იმ დღის შემდეგ მოხუც ცოლ-ქმარს მოსაწყენად აღარ ეცალა.

როგორ ხმას გამოსცემენ შინაური ცხოველები და ფრინველები?

წარმოთქვი ხმამიბაძვები და შესაბამისი ფერის წრეებით შეავსე ძროხის, ძაღლის და ცხვრის ქვეშ დახაზული ბგერითი შემადგენლობის სქემები.

**101**. დაასახელე თითოეული საგანი. გამოყავი ამ საგანთა სახელწოდებიდან პირველი ბგერა. დაალაგე უჯრებზე ამ ბგერების აღმნიშვნელი წითელი და ლურჯი წრეები. შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა.





| | | |
|---|---|---|
| | | |



რა სიტყვა წაიკითხე?

დაასახელე ამ სიტყვის საპირისპირო სიტყვა.

დაასახელე ბოსტნეული, რომელიც არ იჭმევა უმად.

გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე?

ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **მ**?






ბავშვებო! დაეხმარეთ ფისო ცაცოს.

რა ასოს დაწერას ცდილობს ფისო ცაცო?




მ







# ბგერა თ

**102**. ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. წარმოთქვი თითოეული სიტყვა ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს მხოლოდ პირველი ბგერა – **თთთთითა, თთთთუთა, თთთთაფლი.**





რა ბგერით იწყება თითოეული სიტყვა?

დამარცვლე ეს სიტყვები.

რამდენი მარცვალია სიტყვაში – **თი-თა**?

სიტყვაში – **თუ-თა**?

რომელია პირველი მარცვალი? მეორე?

რამდენი მარცვალია სიტყვაში **თაფ-ლი**?

რომელია მეორე მარცვალი? პირველი?








**103**. ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. რა ბგერით იწყება ეს სიტყვები?















**მიაქციე ყურადღება:**

როცა წარმოთქვამ **თ** ბგერას, კბილები და ენა უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს.

**104**. ჩამოთვალე დახატული საგნები და გამოიცანი, სად ისმის ბგერა **თ** სიტყვის თავში თუ შუაში?









ჩასვი უჯრებში შესაბამისი ფერის წრეები. რომელი ბგერები აღნიშნე წითელი წრით? ლურჯი წრით?

**105**. ყურადღებით მოისმინე ლექსი და შემდეგ ჩამოთვალე თეთრი ფერის საგნები.

**თეთრი თოელი – ქათქათა,**
**თეთრი – ფიფქის ფანტელი,**
**თეთრი გედი – სილამაზე,**
**თეთრი – ცვილის სანთელი.**
**ბამბა – თეთრი ფერია,**
**ღრუბლის ქულაც – თეთრია.**
**ქვეყნად თეთრზე წმინდა ფერი**
**არსად არაფერია.**

ქ ს ო თ



**106**. შეაერთე ხაზით **თ** ასოსთან ის საგნები, რომელთა სახელწოდება იწყება **თ** ბგერით.






თ











**107**. მაჩვენე ასო **თ**, როცა მოისმენ **თ** ბგერას სიტყვებში:

**თეფში, თოჯინა, ჯოხი, თოხი, თოკი, ქვიშა, თავი, დანა, თეკლე.**

**108**. დაასრულე სიტყვა. წარმოთქვი მარცვალი **თა**.

**ქათქა — თა**   **თუ — თა**   **კალა — თა**
**ბაფ — თა**   **ხალა — თა**   **ხუფ — თა**
**გუფ — თა**   **ჩან — თა**   **კალ — თა**

**109**. რა ხატია სურათზე?

რას აღნიშნავს სურათის ქვეშ დახატული სამი უჯრა?



წარმოთქვი სიტყვა — **მთა** ისე, რომ პირველი ბგერა ისმოდეს სხვა ბგერებზე ხანგრძლივად.

აღნიშნე ლურჯი ფერის წრით. წარმოთქვი სიტყვა **მთა** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს მეორე ბგერა.

აღნიშნე სქემაზე ლურჯი წრით. წარმოთქვი სიტყვა **მთა** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს ბოლო ბგერა. როგორი ფერის წრით უნდა აღნიშნო?

დაასახელე პირველი ბგერა. შეცვალე **მ** ბგერის აღმნიშვნელი ლურჯი წრე **მ** ასოთი. დაასახელე მეორე ბგერა და შეცვალე ლურჯი წრე **თ** ასოთი. დაასახელე მესამე ბგერა და შეცვალე **ა** ასოთი. წაიკითხე სიტყვა. სად არის ასო **თ** — სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში?

**110**. რა ხატია სურათზე?



რატომ არის თითის ქვეშ დახაზული ოთხი უჯრა? შეამოწმე შენი პასუხის სისწორე. წარმოთქვი სიტყვა **თითი** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს პირველი ბგერა. აღნიშნე სქემაზე ლურჯი წრით.

ხანგრძლივად წარმოთქვი სიტყვის მეორე ბგერა. როგორი ბგერაა **ი**? აღნიშნე სქემაზე შესაბამისი ფერის წრით.

წარმოთქვი სიტყვა ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს მესამე ბგერა. აღნიშნე ლურჯი წრით.

წარმოთქვი სიტყვა თითი ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს ბოლო ბგერა. აღნიშნე წითელი ფერის წრით. შეცვალე ბგერების აღმნიშვნელი წრეები შესაბამისი ასოებით. წაიკითხე სიტყვა.



**111**. თანმიმდევრობით გამოყავი ბგერები სიტყვაში – **თათი**. შეადგინე ამ სიტყვის ბგერითი შემადგენლობის სქემა. შეცვალე ხმოვნების აღმნიშვნელი წრეები შესაბამისი ასოებით. „წაიკითხე" სიტყვა. შეცვალე **თ** ბგერის აღმნიშვნელი წრეები **თ** ასოებით. წაიკითხე სიტყვა.



გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **თ**?





ბავშვებო!

დაეხმარეთ გოჭს.

რა ასოს დაწერა უნდა გოჭს?



გააფერადე სურათები. რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **თ**?







# ბ გ ე რ ა ტ

**112**. რა ხატია სურათზე?

ყველა ამ საგნის სახელწოდება იწყება ერთი და იგივე ბგერით. გამოყავი ყოველი სიტყვის წარმოთქმის დროს პირველი ბგერა. რა ბგერა გესმის?










დამარცვლე თითოეული სიტყვა და აღნიშნე რამდენ მარცვლიანია.

**113**. შეხედე სურათს. რა ჰქვია ამ ნამცხვარს?

როგორია ტორტი? რა არის კიდევ ტკბილი?

შეადგინე წინადადება და გამოიყენე სიტყვა – **ტკბილი**.

რამდენი სიტყვაა წინადადებაში?

აღნიშნე წინადადება და სიტყვები შესაბამისი ზომის ფირფიტებით.



**114**. რა ხატია სურათზე?

მოტოციკლეტი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, მანქანა, ავტობუსი ეს არის..... (ტრანსპორტი).

**მაჩვენე და თქვი:** რა „მიდის" მოტოციკლეტსა და ტრამვაის შორის?

ტრამვაისა და ტაქსს შორის?







მაჩვენე ტრანსპორტი, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ტ.







**115**. გააფერადე ტიტა და ტოტი შესაბამისი ფერის ფანქრებით.

ორივე ნახატის ქვეშ დახაზულია ოთხ-ოთხი უჯრა.

შეავსე თითოეული უჯრა იმ ფერის წრეებით, რომლებიც შეესაბამება თითოეულ ბგერას.

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |



როგორი ფერის წრე უნდა დადო პირველ უჯრაზე? რატომ?

მეორე უჯრაზე? რატომ? მესამე უჯრაზე? მეოთხე უჯრაზე?

შეცვალე პირველ სქემაზე **ი** და **ა** ბგერების აღმნიშვნელი წრეები ასოებით. „წაიკითხე" სიტყვა.



ასევე შეავსე მეორე სქემა. შეცვალე **ო** და **ი** ბგერის აღმნიშვნელი წრეები ო, ი ასოებით. „წაიკითხე" სიტყვა.

## ასო ტ

**116**. ასწიე ასო ტ, როცა მოისმენ ტ ბგერას სიტყვებში:

**ქადა, ქატო, ბატონი, ბადაგი, ჭერი, ატამი, ტბა, მტრედი, ფაფა, ტაფა.**

**117** მოისმინე ყურადღებით და გამოიცანი, რომელია პირველი და რომელია მეორე ბგერა შემდეგ მარცვლებში:

ატ, უტ, იტ, ოტ, ეტ.

ტა, ტუ, ტი, ტო, ტე.

**118**. შეაერთე ხაზით ტ ასოსთან ის საგნები, რომელთა სახელწოდებაში არის ტ ბგერა.







ტ





**119.** ბავშვებო, თქვენ წარმოთქვით მარცვალი – ტა, მე დავასრულებ სიტყვას. რა სიტყვა მივიღეთ?

ტა — რო      ტა — ფა      ტა — ში
ტა — ხი      ტა — ნი      ტა — რიელი

სად ისმის მარცვალი ტა, სიტყვის თავში თუ ბოლოში?

ამჯერად, მე წარმოვთქვამ სიტყვის ნაწილს. თქვენ კი დაასრულეთ სიტყვა და წარმოთქვით მარცვალი ტი.

ბუშ — ტი      ღალა — ტი      კე — ტი
მარ — ტი      კანფე — ტი      ჟაკე — ტი

სად ისმის მარცვალი – ტი, სიტყვის თავში თუ ბოლოში?

**120.** გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა და დაალაგე უჯრებზე ამ ბგერების აღმნიშვნელი შესაბამისი ფერის წრეები. შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა.





გააფერადე სურათი.
რა ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ სიტყვაში ბგერა ტ?

ბავშვებო!
დაეხმარეთ
მაიმუნს.
რა ასოს
დაწერას
ცდილობს
მაიმუნი?







# ბგერა დ

**121**. ჩამოთვალე დახატული საგნები.

სად დევს დოლი? სად დევს ბურთი? დათუნია? თოჯინა? იპოვე სურათზე სათამაშოები, რომელთა სახელწოდება იწყება **დ** ბგერით. წარმოთქვი ეს სიტყვები ისე, რომ მკაფიოდ ისმოდეს ბგერა **დ**.



**მიაქციე ყურადღება:**

როცა წარმოთქვამ **დ** ბგერას, ენა და კბილები უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს.

ბგერა **დ** თანხმოვანია.

**122**. რომელი ჭურჭელი შეიძლება ავავსოთ წყლით?

დაალაგე ლურჯი ფერის წრეები იმ სურათებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **დ**.



რა ჰქვია ჩაიდანს, ქილას, სათლს, ბოთლს, დოქს ერთად? გაიხსენე, კიდევ რა ჭურჭელი იცი.

**123**. მე წარმოვთქვამ სიტყვის ნაწილს. თქვენ წარმოთქვით ბოლო მარცვალი – **და**. რა სიტყვა მიიღეთ?

| | | |
|---|---|---|
| **მაგი — და** | **ფარ — და** | **მამი — და** |
| **კარა — და** | **დე — და** | **დავარ — და** |

**124**. გამოიცანით, რომელი ბგერა დაიკარგა სიტყვებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| გუნ□ა | ინ□აური | □ათვი | კარა□ა |
| ქუ□ი | კე□ელი | ბუ□ე | ვე□რო |

## ასო ღ

**125**. მაჩვენე ასო ღ, როცა მოისმენ ღ ბგერას ჩამოთვლილ სიტყვებში:

**ქუდი, ბალი, ბადე, დოლი, დოქი, ქარი, ნავი, ვედრო, ბოლოკი, ნაბადი, ქაღალდი.**

**126**. რა ხატია სურათზე?



წარმოთქვი სიტყვაში – დაფა ყოველი ბგერა მკაფიოდ და აღნიშნე სქემაზე შესაბამისი ფერის წრეებით. შეცვალე ხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები ასოებით. "წაიკითხე" სიტყვა.

შეცვალე თანხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები შესაბამისი ასოებით. წაიკითხე სიტყვა.

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

**127**. ამოხსენი რებუსი

და   დე

წარმოთქვი სიტყვა. სად ისმის მარცვალი და?
სად ისმის მარცვალი დე?



ბავშვებო!
დაეხმარეთ
თაგუნიას.
რა ასოს
დაწერას ცდილობს
თაგუნია?





გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის
თუ არა ამ სიტყვებში
ბგერა დ?





# ბგერა ნ

**128**. ჩამოთვალე საგნები და წარმოთქმის დროს გამოყავი პირველი ბგერა. რა ბგერაა ეს?



მიაქციე ყურადღება:

**ნ** ბგერის წარმოთქმის დროს ენა და კბილები ქმნიან წინააღმდეგობას. ბგერა **ნ** არის თანხმოვანი.

**129**. გაიმეორეთ მარცვლები შემდეგი თანმიმდევრობით:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ნ**ა | **ნ**ო | **ნ**ი | **ნ**უ | **ნ**ე | **ნ**ი | **ნ**ო | **ნ**ი |
| ა**ნ** | ი**ნ** | ო**ნ** | ე**ნ** | უ**ნ** | ა**ნ** | ე**ნ** | ა**ნ** |

**130**. დაასახელე დახატული საგნები. დაალაგე ლურჯი ფერის წრეები იმ საგნებზე, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ნ**.



**131**. ჩამოთვალე ნინუცას სათამაშოები.

რა ბგერით იწყება თითოეულის სახელწოდება?

იპოვე ის სათამაშო, რომლის სახელწოდებაში არის ბგერა **ნ**.



**132**. ბავშვებო, თქვენ წარმოთქვით მარცვლები, მე კი დავამთავრებ სიტყვას. რა სიტყვა მივიღეთ?

| | | | |
|---|---|---|---|
| ნა – დირი | ნე – კერჩხალი | ნი – ორი | ნუ – ში |
| ნა – ხირი | ნე – ლი | ნი – ანგი | ნუ – გა |
| ნა – გავი | ნე – ტა | ნი – გოზი | ნუ – ნა |
| ნა – ზი | ნე – ფე | ნი – ავი | ნუ – ლი |



# ასო ნ

**133**. ასწიე ლურჯი ფერის წრე, როცა მოისმენ **ნ** ბგერას შემდეგ სიტყვებში: უკრავს, ანთებს, მღერის, ხატავენ, ცურავს, ქანაობს, იბანს, იცინის.

შეადგინე წინადადება და გამოიყენე სიტყვა – **ხტუნაობს**. აღნიშნე წინადადება და სიტყვები შესაბამისი ზომის ფირფიტებით.

რამდენი სიტყვაა წინადადებაში? რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე?

**134**. მოიფიქრე ორი გოგონას სახელი, რომელიც იწყება **ნ** ბგერით.





შეავსე უჯრები შესაბამისი ფერის წრეებით. წითელი ფერის წრეები შეცვალე ხმოვანი ასოებით და "წაიკითხე" სახელები.

ლურჯი ფერის წრეები შეცვალე თანხმოვანი **ნ** ასოებით და წაიკითხე სახელები.

სად არის ასო **ნ** - სიტყვის თავში თუ ბოლოში?

**135.** გამოყავი ამ საგანთა სახელწოდებებიდან პირველი ბგერები და დაალაგე უჯრებზე ამ ბგერების აღმნიშვნელი ფერადი წრეები. შეცვალე ასოებით. წაიკითხე სიტყვა.






| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **ნ**?









ბავშვებო!

დაეხმარეთ

დათუნიას.

რა ასოს დაწერას

ცდილობს

დათუნია?





# ბგერა ვ

**136**. ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. წარმოთქვი თითოეული სიტყვა ისე, რომ მკაფიოდ ისმოდეს პირველი ბგერა. რა ბგერა გესმის?











**მიაქციე ყურადღება:**

როცა წარმოთქვამ **ვ** ბგერას, ტუჩები და კბილები ქმნიან წინააღმდეგობას. ბგერა **ვ** არის თანხმოვანი.

**137** მოისმინე ლექსი. მაჩვენე ის ცხოველები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ვ**.




დათვი
ბელს
ეფერება,



კატა —
კნუტებს,



ცხვარი — ბატკანს,



ლომი — ბოკვერს,



ეფერება
ნაშიერს
მაიმუნი
მანჭია,



ღორი — გოჭებს,



ძაღლი — ლეკვს,



თხა — ციკანს,



ცხენი თავის
კვიცს,



დედიკო კი —
შვილს.



ვირი ჩოკინას
ეალერსება,



შველი — თავის
ნუკრს,



სპილო — სპლიყვს,



ძროხა
ხბოზე წუხს.










ვეფხვი —
ბოკვერს,

უყვარს თავის წრუწუნები
პაწაწინა თაგვს.

პინგვინი
კი —
ბარტყს,










**ნინო — თავის ბაჭიას.**

„წაიკითხეთ" ლექსი დანომრილი სურათების მიხედვით.

ჩამოთვალე ცხოველები და მათი ნაშიერები.

**138**. ბავშვებო, მე ჩამოვთვლი სიტყვებს. მხოლოდ „ჩავყლაპავ" პირველ ბგერას. თქვენ დაასახელეთ სიტყვა და მკაფიოდ წარმოთქვით პირველი ბგერა.

| | | |
|---|---|---|
| ☐ აჟი | ☐ ალი | ☐ ელოსიპედი |
| ☐ ახშამი | ☐ აჭარი | ☐ ელი |
| ☐ აკე | ☐ ენახი | ☐ ედრო |
| ☐ არცხნილობა | ☐ ეზირი | ☐ ირთხა |

**139**. ვითამაშოთ – „დაამთავრე სიტყვა"

| | | |
|---|---|---|
| ქარ — ვა | კერ — ვა | ყინ — ვა |
| ბარ — ვა | ცურ — ვა | ქარგ — ვა |

**140**. შეცვალე ჩამოთვლილ სიტყვებში პირველი ბგერა **ვ** ბგერით:

| | |
|---|---|
| ნელი – ველი | დარდი – ვარდი |
| ნალი – ვალი | პირი – ვირი |

**141**. ზოგიერთი სიტყვა ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ წინადადების შედგენის დროს შემთხვევით შევუცვალე სიტყვებს ადგილი. მომეხმარეთ, შეასწორეთ წინადადებები:

**დაუბერა ციემა ყვავმა,**

**ბარტყი მოიტაცა ქარმა.**

**ბებომ გაცრა ხილი,**

**ვაზაში აწყვია ფქვილი.**

**კატას ყელში გაეჩხირა…………… თხა,**

**ორღობეში მობაკუნობს ფხა.**

**დედამ გამითბო გაყინული ბლითები,**

**მერე რომ არ მეტირა, გამომიცხო**

**თითები.**

# ასო ვ

**142**. მაჩვენე ასო **ვ**, როცა მოისმენ **ვ** ბგერას შემდეგ სიტყვებში:

**ქალი, ნავი, ნაზი, ვაზი, ვენახი, დარბაზი, ვარდი.**

მიაქციე ყურადღება: სიტყვებს **ვარდი, ვარდობისთვე, ვარდისფერი, ვარდფურცლობა,** აქვთ საერთო ნაწილი **ვარდ**.

**143**. რა ხატია სურათზე?





თანმიმდევრობით დაასახელე თითოეული ბგერა. აღნიშნე სქემაზე შესაბამისი ფერის წრეებით. შეცვალე ხმოვანი **ი** და **ა** ბგერების აღმნიშვნელი წრეები **ი** და **ა** ასოებით. „წაიკითხე" სიტყვა. შეცვალე თანხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.

შეცვალე პირველ მარცვალში ასო **ი** – **ა** ასოთი. მეორე მარცვალში ასო **ა** შეცვალე **ი** ასოთი. წაიკითხე სიტყვა. რა ბგერით იწყება სიტყვები თივა, თავი?

სად არის ასო **ვ** – სიტყვის თავში თუ ბოლოში?

**144**. გააფერადე და შეაერთე ხაზით **ვ** ასოსთან ის საგნები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ვ**.





ბავშვებო!
დაეხმარეთ ბაჭიას.
რა ასოს დაწერა
უნდა ბაჭიას?

ვ







გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ
სიტყვებში ბგერა ვ?



# ბგერა ქ

**145**. რა ხატია სურათზე? გამოყავი ყოველ სიტყვაში პირველი ბგერა. რომელი ბგერა გესმის?



მიაქციე ყურადღება:

ქ ბგერის წარმოთქმის დროს ენა უქმნის წინააღმდეგობას ჰაერნაკადს. ბგერა ქ თანხმოვანია.

**146**. ასწიე ლურჯი ფერის წრე, როცა სიტყვებში მოისმენ ქ ბგერას: **დაფა, ქარი, მანქანა, ქურთუკი, მსუქანი, კარადა, მოღრუბლული, ქალი.**

დაასახელე საპირისპირო სიტყვები:

**მსუქანი –** **(გამხდარი),**

**მზიანი –** **(მოღრუბლული),**

**მოხუცი – ..................... (ახალგაზრდა),**

**კაცი –** **(ქალი).**

მიაქციე ყურადღება:

სიტყვებს: **ქარი, ქარიშხალი, ქარიანი (ამინდი), ქარბუქი, ქარბორბალა,** აქვთ საერთო ნაწილი – **ქარ.**



**147**. ამ სურათის მიხედვით შეადგინე წინადადება. აღნიშნე წინადადება და მასში შემავალი სიტყვები შესაბამისი ფირფიტებით. რამდენი სიტყვაა წინადადებაში? რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე?

**148**. წარმოთქვი მარცვლები, მე დავასრულებ სიტყვას:

| | | | |
|---|---|---|---|
| ქა – მარი | ქუ – ლა | ქო – თანი | ქე – დანი |
| ქა – ლი | ქუ – თუთო | ქო – ნი | ქე – თინო |
| ქა – ლაქი | ქუ – თაისი | ქო – რი | ქე – დი |
| ქა – ტო | ქუ – ჩა | ქო – ჩორი | ქე – ჩა |
| ქი – რა | ქი – მი | ქი – რურგი | ქი – სა |

**149**. შეასწორეთ წინადადებები:

ბებომ ჩაიცვა კალათი,
ხილით აავსო ხალათი.
აქლემს აქვს ორი ბუზი,
ძროხას ეხვევა კუზი.
დანა არის კასრი,
ხისგან შეკრეს ბასრი.
დედამ კაბას დააკერა კიბე,
ნინომ სირბილით აირბინა ჯიბე.

# ასო ქ

**150**. ასწიეთ ასო ქ, როცა მოისმენ ქ ბგერას ჩამოთვლილ პროფესიებში: **ექიმი, დალაქი, მსახიობი, ექთანი, მხატვარი, ფეიქარი.**

გაიხსენე და ჩამოთვალე, კიდევ რა პროფესიები იცი.

**151**. რა ხატია სურათზე?



თანმიმდევრობით დაასახელე ბგერები სიტყვაში – **ქუდი**.

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

შეადგინე წრეებით ამ სიტყვის ბგერითი შემადგენლობის სქემა. ხმოვნების აღმნიშვნელი წრეები შეცვალე **უ** და **ი** ასოებით. „წაიკითხე" სიტყვა. თანხმოვნების აღმნიშვნელი წრეები შეცვალე **ქ** და **დ** ასოებით. წაიკითხე სიტყვა.

**152**. გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა და დაალაგე უჯრებზე ამ ბგერის აღმნიშვნელი ფერადი წრეები. შეცვალე წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.







| | | |
|---|---|---|
| | | |

**153.** გამოიცანი რომელი სიტყვებია დამალული ამ სქემებში. დაასაბუთე პასუხის სისწორე. შეცვალე ბგერების აღმნიშვნელი წრეები შესაბამისი ასოებით. წაიკითხე სიტყვები.









ბავშვებო!
დაეხმარეთ ძაღლს.
რა ასოს დაწერა
უნდა ძაღლს?



გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ქ?







# ბგერა კ

**154.** რა ბგერით იწყება სურათზე დახატული საგნების სახელწოდებები?



დამარცვლე თითოეული სიტყვა და აღნიშნე რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში.



**მიაქციე ყურადღება:**

როცა წარმოთქვამ **კ** ბგერას, ენა უქმნის წინააღმდეგობას ჰაერნაკადს. ბგერა **კ** არის თანხმოვანი.



**155.** დააკვირდი სურათებს: რომელი ზღაპრის გმირი ხატია პირველ სურათზე? რა უჭირავს კომბლეს ხელში?

რამდენი სიტყვაა წინადადებაში –

**კომბლეს ხელში უჭირავს კომბალი.**

აღნიშნე წინადადება და მასში შემავალი სიტყვები შესაბამისი ზომის ფირფიტებით. რომელი სიტყვები იწყება კ ბგერით?





შეადგინე წინადადება მეორე და მესამე სურათის მიხედვით. რამდენი სიტყვაა წინადადებაში? აღნიშნე სიტყვები ფირფიტებით.

**156.** გაიმეორე ენის გასატეხი:

**კნატა-კნუტი, კნატა-კნუტი,**
**რას მიირთმევს კატის კნუტი?**
**თურმე კატოს კატის კნუტმა**
**აკნატუნა ბატიბუტი.**

გამოცანა

**ჭიაღუას ვემტერები**
**ნისკარტს ჩავკრავ სადაც ვნახავ.**
**მუდამ ხეებს ვუკაკუნებ,**
**ტყეში მხოლოდ ხეზე მნახავ.**



**157.** რომელი ბგერა დაიკარგა?

| | | | |
|---|---|---|---|
| სარ□ე | □უ | □ა□ალი | □ისერი |
| რ□ო | მა□რატელი | □იტრი | □არავი |

# ასო ქ

**158.** ასწიეთ ასო ქ, როცა მოისმენ სიტყვებში ქ ბგერას:

**თოკი, ბელი, თუთა, ქნუტი, ქვაბი, კუდი, სათითე, საკიდი, ბანაკი, რეკავს.**



**159.** თანმიმდევრობით წარმოთქვი ბგერები სიტყვაში **კატა**.

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

აღნიშნე სქემაზე ბგერები შესაბამისი ფერის წრეებით. შეცვალე ხმოვნების აღმნიშვნელი წრეები ასოებით. „წაიკითხე" სიტყვა. შეცვალე თანხმოვნის აღმნიშვნელი წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.



| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

თანმიმდევრობით წარმოთქვი ბგერები სიტყვაში **კაბა**.

შეადგინე სქემა. შეცვალე ყველა ბგერის აღმნიშვნელი წრე შესაბამისი ასოთი. წაიკითხე სიტყვა. პირველ მარცვალში ასო ა შეცვალე ი ასოთი, მეორე მარცვალში ასო ა შეცვალე ე ასოთი. წაიკითხე სიტყვა.



**160.** შეაერთე ხაზით კ ასოსთან ის საგნები, რომელთა სახელწოდება იწყება კ ბგერით.





ბავშვებო!
დაეხმარეთ
ვეფხვს.
რა ასოს
დაწერას
ცდილობს
ვეფხვი?



გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ქ?







# ბგერა გ



**161.** დააკვირდი სურათებს. დაასახელე თითოეული მათგანი და ხანგრძლივად წარმოთქვი მხოლოდ პირველი ბგერა – გგგული, გგგემი, გგგუბე, გგგოგო.







რა ბგერით იწყება ეს სიტყვები?

**162.** დაათვალიერე სურათები. ჩამოთვალე, რა საგნებია დახატული. რა ბგერით იწყება ეს სიტყვები?













**163.** მოისმინე ლექსი:

**როგორ მინდა გოზინაყი, ბებია,**
**მართალია, ზაფხულის დღეებია,**
**მაგრამ, როცა პაწაწინა იყავი,**
**დავიჯერო, შენ არ მოგნატრებია?**

**მე მოგიტან ბევრ ნიგოზს და თაფლს,**
**მეტად აღარ გაგაბრაზებ, აღარ გატკენ თავს.**
**არა გჯერა? გეფიცები ჩემ საყვარელ დას.**

რისი გაკეთება სთხოვა შვილიშვილმა ბებიას?

როდის აკეთებენ გოზინაყს?

რა ბგერით იწყება სიტყვა გოზინაყი?

წარმოთქვი ბგერა **გ**. როგორი ბგერაა – ხმოვანი თუ თანხმოვანი?

**164.** ლოგოპედი წარმოთქვამს პირველ მარცვალს. ბავშვები ამთავრებენ სიტყვას **გა**, **გი** მარცვლებით.

| | | | |
|---|---|---|---|
| **დაზ — გა** | **ბა — გა** | **ქოლ — გა** | **ად — გა** |
| **კარ — გი** | **პერან — გი** | **ხაფან — გი** | **ფარდა — გი** |
| **ბარ — გი** | **ჩან — გი** | **თუნ — გი** | **თარ — გი** |

სად ისმის მარცვალი **გა**, **გი**, სიტყვის თავში თუ ბოლოში?

# ასო გ

**165.** მაჩვენე ასო **გ**, როცა მოისმენ ამ ბგერას ჩამოთვლილ სიტყვებში: **სკამი, გული, გომბეშო, საპონი, გზა, გულადი, გემი, დათვი.**

მიაქციე ყურადღება: **გულადი, შეუპოვარი, თამამი** ადამიანი – ერთი და იგივეს ნიშნავს.

დაასახელე საპირისპირო სიტყვები:

კეთილი – (ბოროტი),

გულადი – (მშიშარა),

ლამაზი – (უშნო),

მოხუცი – (ახალგაზრდა),

ჯანმრთელი – (ავადმყოფი).

**166.** რა ფრინველი ხატია სურათზე?

დაასახელე ბგერები თანმიმდევრობით სიტყვაში — გედი.

შეადგინე სქემა. შეცვალე ფერადი წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.



**167.** შეაერთე ხაზებით გ ასოსთან ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა გ.






გ







**168.** გამოყავი ამ საგანთა სახელწოდებებიდან პირველი ბგერები. დაალაგე უჯრებზე ამ ბგერების აღმნიშენელი წრეები, შემდეგ შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა.






| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

რა სიტყვა წერია?

აილე ბგერა **გ** და ისევ წაიკითხე სიტყვა. რა სიტყვაა?



ბავშვებო!
დაეხმარეთ ჩიორას.
რა ასოს დაწერა
უნდა ჩიორას?





# ბგერა ს

**169.** გამოიცანი

**მთელი დღე და მთელი ღამე**
**დავდივარ და დავდივარ,**
**სამწუხაროდ, სასეირნოდ**
**არასოდეს გავდივარ.**




რომელი ბგერით იწყება სიტყვა – **საათი**?

შეადგინე ამ სიტყვის ბგერითი შემადგენლობის სქემა.

დაალაგე ფერადი წრეები.



**170.** ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები.
რა ბგერით იწყება ეს სიტყვები?



 



**მიაქციე ყურადღება:**

როცა წარმოთქვამ **ს** ბგერას, კბილები და ენა უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს.

ბგერა **ს** თანხმოვანია.

**171.** წარმოთქვით ბგერა **ს**, მე დავამთავრებ სიტყვას.

| | | |
|---|---|---|
| ს – ოკო | ს – ველი | ს – აქართველო |
| ს – კოლა | ს – ურდო | ს – უნამო |
| ს – ილა | ს – პორტი | ს – კივრი |
| ს – არკე | ს – პორტსმენი | ს – ელაპი |

**172.** დაასახელე ის **სპორტსმენი** (სპორტის სახეობა), რომლის სახელწოდებაში ისმის ბგერა **ს**.

   

  

**173.** გაიმეორეთ თითოეული სიტყვა:

**სიმინდი, საყელო, სოკო, სახლი, საბანი, სათვალე.**

ამავე სიტყვებს მე ჩამოვთელი არასწორად, დამახინჯებით. თქვენ უნდა გამოიცნოთ და დაასახელოთ სწორად:

**მინდისი, სალოყე, კოსო, ხლისა, ბანისა, თვასალე.**

# ა ს ო ს

**174.** მაჩვენე ასო **ს**, როცა მოისმენ ამ ბგერას შემდეგ სიტყვებში:

**სოკო, მაგიდა, თასი, თაგვი, სათამაშო, ზის, ადგა, კეტავს, ქლიბი.**

დაასახელე საპირისპირო სიტყვები:

**კეტავს –** (აღებს),

**ზის –** (დგას),

**იღებს –** (დებს),

**იცინის –** (ტირის).

**175.** მოისმინე ლექსი:

**რა ნარნარად მოძრაობენ ნანა, ნინო და მაია,**
**გოგონები ასრულებენ ქართულ ცეკვას – „სამაია."**
**მიხვრა-მოხვრა, მოძრაობა, რა უბადლო ნაქარგია,**
**მინდა მთელი ხმით ვიყვირო, ღმერთო ჩემო, რა კარგია!**

რომელ ქართულ ცეკვას ასრულებენ გოგონები?

დაასახელე თანმიმდევრობით ბგერები სიტყვაში – **სამაია**.

რამდენი ბგერაა? შეადგინე სქემა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

აღნიშნე ბგერები შესაბამისი ფერის წრეებით. შეცვალე ხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები ხმოვანი ასოებით და "წაიკითხე" სიტყვა. შეცვალე თანხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.

**176.** შეხედე სურათებს. რომელი სიტყვები იმალება ამ სქემებში?





დაასაბუთე პასუხის სისწორე.

**177** გაუსვი ხაზი იმ სურათების ქვეშ, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ს**. სად ისმის ბგერა **ს** – სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში?











**178.** გამოყავი ამ საგანთა სახელწოდებებიდან პირველი ბგერები. დააწყვე უჯრებზე ამ ბგერების აღმნიშენელი ფერადი წრეები. შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა.






რა სიტყვა წაიკითხე?

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

**მიაქციე ყურადღება:**

**აისი, გარიჟრაჟი, ალიონი, განთიადი** – ნიშნავს გათენებას.



ბავშვებო!
დაეხმარეთ ბაყაყს.
რა ასოს დაწერა
უნდა ბაყაყს?



გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა
ამ სიტყვებში ბგერა **ს**?







# ბგერა ზ

**179.** რა ბგერით იწყება სურათზე დახატული საგნები?







მიაქციე ყურადღება:

**ზ** ბგერის წარმოთქმის დროს კბილები და ენა უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს.

ბგერა **ზ** თანხმოვანია.



**180.** სად ნახეს ბავშვებმა ცხოველები? რა ბგერით იწყება სიტყვა **ზოოპარკი**?

რომელი ცხოველის სახელწოდებაში არ არის ბგერა **ზ**?







**181.** ყურადღებით მოისმინეთ და ითამაშეთ ჩემთან ერთად:

ჩამოთვლილ სიტყვებს დაიხსომებთ ყველა,
შემდეგ ამ სიტყვებს გაიმეორებთ ნელა,
ზე მარცვლით იწყება შემდეგი სიტყვები:
ზეწარი, ზეიმი, ზეთი, ზეგანი
გაიმეორებს ამ სიტყვებს თითოეული თქვენგანი!
ზე მარცვალს შევცვლით ზუ მარცვლით,
გაიმეორეთ სიტყვები დამარცვლით:
ზუზუნი, ზურაბი, ზუმერი, ზურგი.

დახუჭეთ თვალები და ისე წარმოთქვით
შემდეგი სიტყვები – მხოლოდ გამოთქმით!
ზონარი, ზოოპარკი, ზორბა, ზოზინა.

ზო მარცვალს შევცვლით ზა მარცვლით,
გაიმეორეთ სიტყვები დამარცვლით:
ზაქი, ზარი, ზაზუნა, ზაური.
რომელი სიტყვები იწყება ზა მარცვლით?





**182.** გაიმეორეთ და დაასრულეთ წინადადება.

ზაზაზა – გემმა ჩაუშვა ღუ–ზა,
ზიზიზი – ზაქროს უყეფს ნაგა–ზი,
ზეზეზე – ზამბახს წყვიტავს იამ–ზე,
ზოზოზო – დურგალს აქვს თარა–ზო.



**183.** გააფერადე ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ზ**.





# ასო ზ

**184.** ასწიე ასო **ზ**, როცა მოისმენ **ზ** ბგერას ჩამოთვლილ სიტყვებში: **ზაქი, დაფა, სორო, გაზეთი, მაღაზია, სასა, ზაზა, ზარი, სული, დაზგა.**

**185.** რა ცხოველია სურათზე დახატული?



**ზვიგენი** დიდი თევზია. სად ცხოვრობს ზვიგენი?

შეადგინე სიტყვის – **ზვიგენი** ბგერითი შემადგენლობის სქემა. მაჩვენე სქემაზე **ზ** ბგერის ადგილი. შეცვალე წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

**186.** შეაერთე წითელი ფერის ფანქრით ერთმანეთთან სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერები **ს** და **ზ**, ხოლო ლურჯი ფანქრით ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის მხოლოდ ბგერა **ზ**.




















ბავშვებო!
დაეხმარეთ
სპილოს.
რა ასოს დაწერას
ცდილობს სპილო?

ზ

გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **ზ**?







# ბ გ ე რ ა ც



**187.** ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. რომელი ბგერით იწყება ეს სიტყვები?

წარმოთქვი ბგერა ც. როგორი ბგერაა იგი?















**188.** რომელი ბგერა გაქრა სიტყვიდან?

| | | |
|---|---|---|
| □ ული | მარ □ ვალი | კვი □ ი |
| □ ომი | კო □ ონი | ხარე □ ხი |
| სა □ ერი | ბა □ ი | ხი □ ივე |
| □ ა | კა □ ი | მო □ ხარი |

**189.** რიგრიგობით დავასახელოთ მარცვლები. გამოიცანი, რა სიტყვაა?
*(სიტყვის ყოველი მეორე მარცვალი დაასახელონ ბავშვებმა)*

| მარცვალი – ცა | მარცვალი – ცი | მარცვალი – ცე |
|---|---|---|
| ფი — ცა — რი | კვი — ცი | სა — ცე — რი |
| ნა — ცა — რი | სა — ცი — ვი | მუ — ცე — ლი |

**190.** გაიმეორე ენის გასატეხი:

**რა ციმციმებს სიბნელეში,**
**შენ თუ ხედავ ნათელა?**
**რა და ჩემო ციცინო,**
**ციმციმებს ციცინათელა.**

რა სიტყვებში ისმის ბგერა **ც**? დამარცვლე სიტყვები:
**ციცინო, ციცინათელა, ციმციმი.**

რამდენი **ც** ბგერა ისმის ამ სიტყვებში?

## ასო ც

**191.** მაჩვენე ასო **ც**, როცა მოისმენ სიტყვებში **ც** ბგერას:
**საწოლი, ცანცარა, მიცურავს, კასრი, კაცი, მირბის, იცვამს, ნამცხვარი.**

**192.** გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა. აიღე ამ ბგერების აღმნიშვნელი წრეები და დაალაგე უჯრებზე. შეცვალე წრეები ასოებით და წაიკითხე სიტყვა.

   

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

**193.** შეაერთე ხაზებით **ც** ასოსთან სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ც**.







ც













ბავშვებო!
დაეხმარეთ ფისო
ცაცოს.
რა ასოს დაწერა
უნდა ფისო
ცაცოს?



გააფერადე სურათები.
რა ხატია
სურათზე? ისმის
თუ არა ამ
სიტყვებში
ბგერა
ც?







# ბგერა წ

**194.** რა ხატია სურათზე?



**წარმოთქვი სიტყვები: წებო, წაბლი, წვენი, წიწაკა** ისე, რომ ხანგრძლივად ისმოდეს პირველი ბგერა. რა ბგერით იწყება ეს სიტყვები?







დამარცვლე სიტყვა წი-წა-კა.

რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? რომელია მეორე მაცვალი? მესამე მარცვალი? პირველი მარცვალი?





**195.** მოისმინე ლექსი:

**წივწივებენ წიწილები წია-წია-წია,**
**ქათმებს კატა ეპარება მიაუ-მიაუ-მიაუ,**
**ჩქარა ეზოს გაეცალე წუწკო ფისუნია,**
**წყლით გაგწუწავ, წკეპლითა გცემ,**
**და იქნება გვიან.**

როგორ წივწივებენ წიწილები?

წარმოთქვი სიტყვები: **წკეპლა, წყალი, წიწილა.**

რომელი ბგერით იწყება ეს სიტყვები? როგორი ბგერაა წ?

რატომ არის იგი თანხმოვანი?

**196.** გააფერადე ყვავილები და ფოთლები იმ ფერის ფანქრებით, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **წ**.



**197.** რომელი ბგერა დაიკარგა?

| | |
|---|---|
| □ყალი | □აბლი |
| მა□ონი | სა□ყალი |
| ქორ□ილი | □ურბელა |
| ყან□ი | ბა□არი |
| სას□რაფო | □ერო |

**198.** ბავშვები წარმოთქვამენ მარცვლებს, ლოგოპედი ასრულებს წინადადებას.

| | | | |
|---|---|---|---|
| წა – დილი | წი – თელი | წუ – ნი | წე – ბო |
| წა – მალი | წი – წიბურა | წუ – თი | წე – რილი |
| წა – ვი | წი – წაკა | წუ – ხილი | წე – რო |
| წა – მი | წი – ქარა | წუ – წუნი | წე – ლი |

**199.** ამწვანებულა ბუნება
მწვანეა მინდორ-ველი,
არ მოგვიშალოს გამჩენმა
მწვანე - სიცოცხლის ფერი.

კიდევ რა საგნები შეგხვედრია ბუნებაში მწვანე ფერის? ჩამოთვალე ისინი.



**200.** ამ სურათის მიხედვით შეადგინე ოთხსიტყვიანი წინადადება.

რომელია მესამე სიტყვა? მეორე? მეოთხე? პირველი?

**201.** რა ბგერით იწყება სურათზე დახატული საგნების სახელწოდება?









მიაქციე ყურადღება:

წვიმა არის **კოკისპირული,**
**ჟუჟუნა, შხაპუნა.**

**202.** მოისმინე ლექსი. შემდეგ გაიმეორე და თან ითამაშე.

**ხტუნაობენ ბაჭიები სკუპი, სკუპი, სკუპი, სკუპი.**
**უცბად წვიმა წამოვიდა წკაპა-წკუპით, წკაპა-წკუპით.**
**გაიწუწნენ ყურცქვიტები, წყალი მოსდით დაპა-დუპით,**
**ბაჭიები დაიშალნენ და გაიქცნენ ტყაპა-ტყუპით.**

**ასო წ**

**203.** ასწიე ასო წ, როცა მოისმენ წ ბგერას შემდეგ სიტყვებში:

**საწოლი, ნაწნავი, საცერი, საწერი, თავსაფარი, წინსაფარი, წინდა.**

**204.** დააკვირდი სურათებს. შეაერთე ხაზებით წ ასოსთან ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა წ.



**205.** დაასახელე საგნები, რომლებიც ხატია სურათზე.
შეადგინე ამ სიტყვების ბგერითი შემადგენლობის სქემები.





ფერადი წრეები შეცვალე ასოებით.
წაიკითხე სიტყვები.

სად არის ასო **წ**, სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში?




ბავშვებო!
დაეხმარეთ
გოჭს.
რა ასოს
დაწერას
ცდილობს გოჭი?






გააფერადე სურათები.

რა ხატია სურათზე?

ისმის თუ არა ამ
სიტყვებში
ბგერა წ?







# ბგერა ძ

**206.** რა ხატია სურათზე?

როგორი ცხოველია ძროხა და ძაღლი?

რამდენი სიტყვაა წინადადებაში –

**ძროხა და ძაღლი შინაური ცხოველებია.** აღნიშნე წინადადება და სიტყვები ფირფიტებით





რა ბგერით იწყება სიტყვები ძროხა და ძაღლი? ბგერა **ძ** თანხმოვანია. **ძ** ბგერის წარმოთქმის დროს ენა და კბილები უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს.

**207.** იპოვე სურათზე საგნები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ძ. გაუსვი სურათის ქვეშ ხაზი.













**208.** დაასრულე წინადადება. აღნიშნე, რომელ სიტყვაში ისმის ბგერა **ძ**.

| | |
|---|---|
| ძროხა ბალახს | (ძოვს), |
| კატა რძეს | (სვლეპს), |
| ძაღლი ძვალს | (ხრავს), |
| ძაბული ძეხვს | (ჭამს), |
| თხა ფოთოლს | (წიწკნის). |

**209.** რა ბგერა აკლია? წარმოთქვი სიტყვა და აღნიშნე, სად ისმის ეს ბგერა – სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში?

| | | |
|---|---|---|
| ყურ□ენი | ხან□არი | საკინ□ე |
| □აბრი | კორ□ი | მეხან□რე |
| ნა□ვი | □მარი | რ□ე |
| □ეხვი | კვან□ი | □უა |

**210.** დაასახელე სურათზე დახატული საგნები.

რომელი სიტყვა შედგება სამი ბგერისაგან? თანმიმდევრობით გამოყავი ბგერები ამ სიტყვებში. ჩახატე უჯრებში წრეები შესაბამისი ფერის ფანქრებით.



# ასო ძ

**211.** მაჩვენე ასო ძ, როცა მოისმენ ძ ბგერას წინადადებაში:

**დედა ნინოს შალის ძაფით კაბას უქსოვს.**

**ძროხა მინდორში ბალახს ძოვს.**

**დედამ რძე ბოთლიდან ჩაასხა ქვაბში.**

**გიორგი ბიძიამ მაღაზიაში პური და ძეხვი იყიდა.**



მოიფიქრე და შეადგინე წინადადება. გამოიყენე სიტყვა – **მძივი**. შეადგინე სიტყვის – **მძივი** ბგერითი შემადგენლობის სქემა. მაჩვენე ძ ბგერის ადგილი სქემაზე.

შეცვალე წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.



**212.** ჩამოთვალე საგნები. რომელ სიტყვაში ისმის ბგერა ძ? ბგერა ც? ბგერა ს? გააფერადე სურათები და შეაერთე ხაზებით ასოებთან.







ს ც ძ



ბავშვებო! დაეხმარეთ მაიმუნს.

რა ასოს დაწერას ცდილობს მაიმუნი?



გააფერადე სურათები.







რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ძ?



# ბგერა შ



**213.** რა ხატია სურათზე? რა ბგერით იწყება სიტყვები: **შოშია, შოთი, შველი?** დამარცვლე სიტყვა – **შო-ში-ა**.



რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? რამდენი ბგერა **შ** ისმის ამ სიტყვაში?





**214.** რა ხატია სურათზე?

რა ბგერით იწყება სიტყვა **შუქნიშანი?** წარმოთქვი პირველი ბგერა. როგორი ბგერაა?

მოისმინე ლექსი:



**სამი ძმანი ერთად ვცხოვრობთ,**
**ჩვენ სახლს ჰქვია შუქნიშანი,**
**ყველა ჩვენსკენ იხედება,**
**რა ანთია? რა ნიშანი?**

რა თანმიმდევრობით ინთება შუქნიშანი? როგორი ფერია ყვითელი ფერის ზემოთ? ქვემოთ?

შეადგინე სიტყვის – **შუქნიშანი** ბგერითი შემადგენლობის სქემა.

ჩახატე ლურჯი და წითელი ფერის წრეები შესაბამის უჯრებში. "წაიკითხე" სიტყვა.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |

დამარცვლე სიტყვა **შუქნიშანი**. რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში?



**215.** სურათზე შემოხაზე საგნები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **შ**.




**216.** წარმოთქვით სიტყვის ნაწილი, ბავშვები აბოლოებენ სიტყვას.

| | | |
|---|---|---|
| ბალი — ში | დრო — შა | გომბე — შო |
| კომ — ში | ფუნთუ — შა | ზარნა — შო |
| თეფ — ში | შუ — შა | სათამა — შო |

**217.** ბავშვებმა წარმოთქვან მარცვლები. ლოგოპედმა დაასრულოს სიტყვა. გამოიცანით, რა სიტყვაა?

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შა – ქარი | შე – შა | ში – ში | შუ – შა | შო – თი |
| შა – ირი | შე – ნობა | ში – ნაური | შუ – ქი | შო – ბა |
| შა – ვი | შე – ნება | ში – შინი | შუ – ბი | შო – რეული |

# ა ს ო შ

**218.** ასწიე ასო შ, როცა მოისმენ შ ბგერას ჩამოთვლილ სიტყვებში:

**სასა, შოშია, ციგა, შავი, ნახშირი, სია, შია, ქვიშა, სანდალი, შანდალი, შაქარი.**

მიაქციე ყურადღება:

სიტყვებს **შაქარი, საშაქრე, უშაქრო, შაქრიანი** – აქვთ საერთო ნაწილი შაქ.

**219.** დააკვირდი სურათებს და იპოვე სიტყვები, რომელიც იმალება ამ სქემებში.






**220.** გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა. დაალაგე უჯრებზე ამ ბგერების აღმნიშვნელი წრეები, შემდეგ შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა. რა სიტყვა შეადგინე?

1





ჩახატე უჯრებში ყოველი ბგერის შესაბამისი წრე. დაალაგე ზემოდან ასოები. წაიკითხე სიტყვა. რამდენი შ ბგერაა ამ სიტყვაში? მაჩვენე შ ასოს ადგილი სქემაზე.

**221.** ს და შ ბგერების დიფერენციაცია.

ასწიეთ ასო **ს**, როცა მოისმენთ სიტყვას, რომელიც იწყება **ს** ბგერით და ასწიეთ ასო **შ**, როცა მოისმენთ სიტყვას, რომელიც იწყება **შ** ბგერით.

**ბავშვებო! სწრაფად ადექით**
**და სწორ ხაზზე დადექით.**
**ნაცნობ სიტყვებს ჩამოგითვლით ნელა,**
**ყურადღებით მოისმინეთ ყველამ!**

**შეშა, ბარი, ნავი, ქილა,**
**ზღვა, შუქურა, კიტრი, სილა.**
**პამიდორი, კარადა, შარვალი, მახე,**
**მატარებელი, კარაქი, სახე.**
**ქვა, კაკალი, შანდალი, ტურა,**
**შუშა, მამალი, მანქანა, სურა.**
**სურათი, ხმალი, საპონი, ქარი,**
**შოშია, სიმინდი, ყაყაჩო, ბარი.**



ბავშვებო!
დაეხმარეთ
თაგუნიას.
რა ასოს დაწერას
ცდილობს თაგუნია?





# ბგერა ჟ

**222.** დააკვირდი სურათს.
რომელ ცხოველს აქვს გრძელი კისერი? რომელს აქვს პატარა ყურები? წვრილი ფეხები? რომელ ცხოველს აქვს გრძელი





ცხვირი? რომელია ღონიერი?

რა ბგერით იწყება სიტყვა – **ჟირაფი**? როგორი ბგერაა?

**223.** ასწიე ლურჯი წრე, როცა სიტყვებში მოისმენ **ჟ** ბგერას:

**ზარი, ვაზა, ეჟვანი, ვაჟა, ზარბაზანი, არაჟანი, ჟუჟუნა, ზაზუნა.**

რა არის **არაჟანი**? კიდევ რომელი რძის ნაწარმი იცი?

**224.** გამოიცანი რა ბგერა აკლია? ჩასვი სიტყვაში და გაიმეორე:

**□ურნალი** **დირი□აბლი**

**□ირაფი** **მარყუ□ი**

**ნი□არა** **გარა□ი**

# ასო ჟ

**225.** ასწიე ასო ჟ, როცა მოისმენ ჟ ბგერას შემდეგ სიტყვებში: **სიცილი, ჟრიამული, ვაზი, ვაჟი, დაბეჟილი, მსხალი, ჟანგბადი, ზარი, ჟოლო.**

**226.** ჩამოთვალე საგნები.

შეაერთე ჟ ასოსთან ის საგნები, რომელთა სახელწოდება იწყება ჟ ბგერით. დანარჩენ საგნებს გაუსვი ქვეშ ხაზი. არის ამ სიტყვებში ბგერა ჟ? სად ისმის, სიტყვის შუაში თუ ბოლოში?







ჟ





**227.** დაასახელე თითოეული საგანი და გამოყავი პირველი ბგერა. დაალაგე უჯრებზე ამ ბგერების აღმნიშვნელი წრეები. შეცვალე წრეები ასოებით და წაიკითხე სიტყვა.



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |



ბავშვებო!
დაეხმარეთ
დათუნიას.
რა ასოს დაწერას
ცდილობს
დათუნია?





# ბგერა ჩ

**228.** სურათზე დახატული საგნებიდან რომელი საგნის სახელწოდება იწყება **ჩ** ბგერით? როგორი ბგერაა **ჩ**?



რომელ საგანთა სახელწოდებაშია ორი ბგერა **ჩ**? ჩამოთვალე ეს სიტყვები. შეავსე სიტყვის – **ჩაქუჩი** ბგერითი შემადგენლობის სქემა წითელი და ლურჯი ფერის ფანქრებით.

მაჩვენე **ჩ** ბგერის ადგილი სქემაზე.



**229.** მოისმინე ლექსი და ჩამოთვალე ის სიტყვები, რომელთა წარმოთქმის დროს ისმის ბგერა **ჩ**.

**მიყვარს ჩირი, ჩამიჩი და ჩურჩხელა თხილის,**
**ფაფის ნაცვლად თათარასაც მივირთმევდი დილით.**
**ჩემი ბებო სოფლიდან მესტუმრება მალე.**
**რომ იცოდეთ ლოდინით როგორ დავიღალე.**
**მენატრება ბებიკოს ჩურჩხელები თხილის,**
**ფელამუში, ჩამიჩი და ქლიავის ჩირი.**

# ასო ჩ

**230.** ასწიე ასო **ჩ**, როცა მოისმენ სიტყვებს, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ჩ**: **კიტრი, ჩირი, ნაჭერი, საცერი, ჩიტი, ძია, ჩია, ჩანჩქერი, კალამი, სარჩული, ფუჩეჩი.**

**231.** მოისმინე ლექსი:

**შუკა-შუკა, შარა-შარა,**
**შარი-შურით, ჩქარა, ჩქარა,**
**მოვიარე ჩემი მხარე,**
**რა ყოფილა ამისთანა!**
**ჩემ სამშობლოს შემოვევლე,**
**მას მშვიდობა მარად, მარად!**

რა ჰქვია შენ სამშობლოს?

*დიდი ხნის წინ საქართველოს ერთ ნაწილს იბერია ერქვა, მეორე ნაწილს კი კოლხეთი. ადრე ჩვენ სამშობლოს გეორგიას უწოდებდნენ. საქართველოში ცხოვრობენ:* ***ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები...***

ყურადღებით მოისმინე ლექსი და დაასახელე საქართველოს კიდევ რომელი მხარე იცი. თუ იცი შენი გვარის ისტორია? საქართველოს რომელი კუთხიდან ხარ?

**სამეგრელო ლაშასია, იმერეთი – ელოსი,**
**იამზესი სვანეთია, გურია კი – ქეთოსი.**
**ქართლი არის თამარისი, კახეთია მიხოსი,**
**ხევსურეთი – ლამარასი, რაჭა არის ნინოსი.**
**ჩვენ ყველანი შვილები ვართ**
**ტურფა საქართველოსი.**

**232.** რა ხატია სურათზე?



შეადგინე ხუთსიტყვიანი წინადადება. გამოიყენე წინადადების და სიტყვების აღმნიშვნელი ფირფიტები.

**233.** გამოყავი თანმიმდევრობით ბგერები სიტყვაში – **ჩანთა**. შეავსე სქემა ბგერების აღმნიშვნელი წრეებით. შეცვალე წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვა.



| | | | | |
|---|---|---|---|---|



ბავშვებო!

დაეხმარეთ ბაჭიას.

რა ასოს დაწერა უნდა ბაჭიას?





# ბ გ ე რ ა ჭ

**234.** ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. რა ბგერით იწყება ისინი? როგორი ბგერაა ჭ? დაასაბუთე.








**235.** შემოხაზე ის მწერები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა ჭ.



შეადგინე სიტყვის – ჭიამაია ბგერითი შემადგენლობის სქემა. ჩახატე უჯრებში წითელი და ლურჯი წრეები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

**236.** ასწიე ლურჯი ფერის წრე, როცა მოისმენ ჭ ბგერას წინადადებებში:

**ნათიამ პეპელა დაიჭირა.**
**ბაჭია ბოსტანში კომბოსტოს ახრამუნებს.**
**გიორგის ჭუჭყიანი ხელები აქვს.**
**დედა ჭარხალს ხეხავს.**
**ოთახში ლამაზი ჭადი კიდია.**

**237.** გაიმეორეთ თითოეული სიტყვა:

**ჭანჭური, ნაჭერი, ჭოტი, ბაჭია, ჭური.**

მე ამ სიტყვებში გადავაადგილებ მარცვლებს. თქვენ შეასწორეთ და დაასახელეთ ეს სიტყვები:

**ჭურიჭან, ჭერინა, ტიჭო, ჭიაბა, რიჭუ.**

## ასო ჭ

**238.** მაჩვენე ასო ჭ, როცა გაიგებ ჭ ბგერას შემდეგ სიტყვებში:

**ციგა, ჭიქა, გაცრა, გაჭრა, ჭადრაკი, ხოჭო, შანდალი, ხაჭო.**

**239.** ჩამოთვალე ის საგნები, რომელთა (    ) სახელწოდება შედგება ოთხი ბგერისგან.









შეადგინე ბგერითი შემადგენლობის სქემები. შეცვალე წრეები ასოებით. წაიკითხე სიტყვები.

რომელ სიტყვებში ისმის ორი ბგერა ჭ ?

**240.** ბავშვებო, წარმოთქვით სიტყვა **ჭია**, მე დავამატებ მარცვლებს. გამოიცანით და დაასახელეთ სიტყვა.

**ჭია – ნჭველა** | **ჭია – ყელა** | **ჭია – თურა**
**ჭია – ღუა** | **ჭია – მაია** | **ჭია – ნური**



ბავშვებო!
დაეხმარეთ
ყურშას.
რა ასოს დაწერა
უნდა ყურშას?





# ბგერა ჯ

**241.** დააკვირდი სურათებს. რა ბგერით იწყება თითოეული საგნის სახელწოდება? როგორი ბგერაა ჯ?









მიაქციე ყურადღება:

ჯაგრისი
- იატაკის საწმენდი
- ტანსაცმლის საწმენდი
- ფეხსაცმლის საწმენდი
- კბილების სახეხი
- თმის სავარცხნი
- აბაზანის სახეხი



**242.** მოისმინე ყურადღებით ლექსი.

დაათვალიერე სურათი. ჩამოთვალე სიტყვები (საგნები), რომელთა წარმოთქმის დროს ისმის სისინა (ს ზ ც წ ძ) და შიშინა (შ ჩ ჟ ჯ ჭ) ბგერები.



თაგუნიას სოროში
რამდენ საგანს ნახავთ,
სჭირდება თუ არ სჭირდება, ყველაფერს ინახავს.
იატაკზე უყრია: თეფშები და ჯამები,
ჟანგიანი ქვაბი თუ დამტვრეული სკამები.

თაროებზე უწყვია: ძეხვი, კვერცხი, ნემსები,
თაროს ქვეშ კი აგდია გადამსკდარი ნესვები.
გაზ-ქურაზე უწყვია: ყველის დიდი ნაჭერი,
ობიანი პური და ბადე – პეპლის საჭერი.

მაგიდაზე – ქოთანი, შიგ ლურჯთვალა იები.
იქ საზამთროს ქერქი გდია, დამტვრეული ქილებიც,
დაკერებულ ფიანდაზზე ფუთფუთებენ ჩრჩილები.
დახეული წიგნები, ძაფები და ასანთი,
ხმელი პურის ნამცეცები, დამსხვრეული საათი.

ყველა ნივთი  მას ეკუთენის, ბევრ უვარგისს ფლობს,
ასეთ არეულობაში თავს მშვენივრად გრძნობს.

**243.** რა ბგერა გაქრა სიტყვიდან?

(ბგერა ჯ შევცვალოთ პაუზით).

| | | |
|---|---|---|
| ☐იბე | ☐ორი | მა☐ა |
| დარა☐ი | ☐არი | ბადრი☐ანი |

**244.** იპოვე და დაასახელე ის ფერი, რომლის სახელწოდებაში არის ბგერა ჯ.



# ასო ჯ

**245.** ასწიე ასო ჯ, როცა მოისმენ ამ ბგერას სიტყვებში:

**ბუშტი, ჯემპრი, მსაჯი, ზარი, ჯარი, ჩანთა, ჯიქანი, ჯართი, კიბე, ჯიბე.**

**246.** სურათზე დახატული საგნებიდან რომლის სახელწოდებაში არის ბგერა ჯ?



რომელი საგნის სახელწოდება შედგება ოთხი ბგერისგან? შეადგინე ბგერითი შემადგენლობის სქემა და დაასახელე თითოეული ბგერის ადგილი. დაალაგე წრეებზე შესაბამისი ასოები. წაიკითხე სიტყვები.

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

**247.** გამოყავი თითოეული საგანის სახელწოდებიდან პირველი ბგერა. დააწყვე უჯრებზე ამ ბგერების შესაბამისი ფერის წრეები, შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა.








დაასახელე სიტყვის – **ჯიუტი**, საწინააღმდეგო სიტყვა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|

გააფერადე სურათები.

რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **ჯ**?





ბავშვებო!
დაეხმარეთ
ვეფხვს.
რა ასოს
დაწერას
ცდილობს ვეფხვი?



გააფერადე სურათები.





რა ხატია
სურათზე?





# ბგერა ლ

**248.** შეხედე სურათებს. რა ბგერით იწყება სურათზე დახატული თითოეული საგნის სახელწოდება?















**მიაქციე ყურადღება:**

როცა წარმოთქვამ **ლ** ბგერას, კბილები და ენა უქმნიან წინააღმდეგობას ჰაერნაკადს. ბგერა **ლ** თანხმოვანია.

**249.** რომელი ცხოველის სახელწოდებაში არის ბგერა **ლ**? როგორი ცხოველები არიან?



**250.** დაასახელე ის ბოსტნეული და ხილი, რომლის სახელწოდებაში არის ბგერა **ლ**.

დედა დაბრუნდა ბაზრიდან
ამოალაგა ჩანთიდან:






კარტოფილი, სტაფილო, ბადრიჯანი, თალგამი,






კიტრი, კომბოსტო, ბოლოკი, ჭარხალი.







ვაშლი, მსხალი, ატამი, მუშმალა და კაკალი.







ლეღვი, ქლიავი, ბალი, ლიმონი

და ალუბალი.

**251.** წარმოთქვათ სიტყვის ნაწილი, ბავშვებმა დაასრულონ სიტყვა.

**მაღა-ლი**
**ფირა-ლი**
**კაკა-ლი**
**დაბა-ლი**
**ღი-ლი**
**კბი-ლი**
**ტკივი-ლი**

**საყე-ლო**
**ტი-ლო**
**ღიღი-ლო**
**მდე-ლო**
**მაჟა-ლო**

**მაღ-ლა**
**სი-ლა**
**ქი-ლა**
**ტორო-ლა**

**ა ს ო ლ**



**252.** აბა, გამოიცანი!

**ყველგან ცოცავს, არ ერიდება ქვებს,**
**დაიღლება? გაჩერდება.**
**გამოყოფს და მალავს რქებს.**

შეადგინე სიტყვის – **ლოკოკინა** ბგერითი შემადგენლობის სქემა. დაალაგე ხმოვნების და თანხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი წრეები უჯრებზე. შეცვალე ასოებით. წაიკითხე სიტყვა.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

**253.** გააფერადე სურათები. ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ლ?







**254.** შეაერთე **ლ** ასოსთან ხაზებით ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ლ**.








# ლ












ბავშვებო!
დაეხმარეთ ჩიორას.
რა ასოს დაწერა
უნდა ჩიორას?



გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ლ?







# ბგერა რ

**255.** ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. რა ბგერით იწყება სიტყვა **რაკეტა?** სიტყვა **როიალი? რკო? რაცია?** წარმოთქვი ისე, რომ პირველი ბგერა ისმოდეს ხანგრძლივად. რა ბგერით იწყება ეს სიტყვები?











დამარცვლე სიტყვა **რო-ი-ა-ლი**. რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? რომელია პირველი მარცვალი?



მეოთხე მარცვალი? მეორე მარცვალი? მესამე მარცვალი?

**256.** დათვალე ათამდე. რომელი რიცხვის სახელწოდებაში არის ბგერა **რ**? ჩაწერე უჯრებში ეს რიცხვები.



**257.** რა ბგერით იწყება სიტყვები: **რვეული, რადიო,** როგორი ბგერაა **რ**?

იპოვე სურათზე საგნები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **რ**. სურათის ქვეშ გაავლე ხაზი.



მიაქციე ყურადღება:

კლავიატურა არის როიალის, პიანინოსი და აგრეთვე კომპიუტერის.

**258.** რა ბგერა გამოვტოვე? გამოიცანი და დაასახელე სიტყვა.

| | | |
|---|---|---|
| **ფანჯა□ა** | **კა□ტოფილი** | **მაკ□ატელი** |
| **□უკა** | **კას□ი** | **ბუ□თი** |
| **ფ□თა** | **სავა□ცხელი** | **ფანქა□ი** |
| **ფაფა□ი** | **ჭე□ი** | **ფა□და** |

**259.** ჩამოთვალე სურათზე დახატული ცხოველები.
რომელი შინაური ცხოველის სახელწოდებაში ისმის ბგერა **რ?**



**260.** როგორი ფერის ფანქრებია სურათზე?



რომელი ფერის დასახელებაში არის ბგერა **რ**?

# ასო რ

**261.** მაჩვენე ასო **რ**, როცა მოისმენ ამ ბგერას შემდეგ სიტყვებში: **ტარო, ტილო, რომი, ლომი, მარინა, კალია, მარილი, ლუკა, რუქა.**

**262.** ამოხსენი რებუსები:

**რო**  **ლი**  **მა**  **რი**

**263.** გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა.

  

 

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

დაალაგე უჯრებზე ბგერების აღმნიშვნელი წრეები. შეცვალე ასოებით. წაიკითხე სიტყვა.

**264.** ჩამოთვალე:

**მარწყვი,**
**მოცვი,**
**ხურტკმელი,**
**ჟოლო,**
**მოცხარი,**
**მაყვალი** –
არის **კენკრა**.

რომელი კენკრის სახელწოდებაში ისმის ბგერა **რ**?



**265.** გააფერადე ის ნახატები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **რ**.











**266.** ყურადღებით მოისმინეთ ლექსი-გამოცანა:

**ბაჭიები, ბურთები, კუბები და ბუშტები,**
**მანქანები, ბზრიალა, თოჯინები - მტირალა,**
**ფაფუკი მელიები, დათვები და ლომები,**
**ძაღლები და ციყვები, ლოტოები, ნიღბები.**
**გული რასაც ინატრებს, ყველაფერი აქ არის,**
**თაროებზე აწყვია, გამოიცან რა არის?**

რომელი სათამაშოების სახელწოდებაში არის ბგერა **რ**? ბგერა **ლ**?

**267.** შეაერთე წითელი ფერის ხაზებით ერთმანეთთან ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **რ**, ხოლო სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერები **რ** და **ლ**, შეაერთე ერთმანეთთან ლურჯი ფერის ხაზებით.




















**268.** შეადგინე სიტყვის – **ფრთა** ბგერითი შემადგენლობის სქემა. წაიკითხე სიტყვა.

**269.** გამოიცანი ვინ არის:



**ცხოვრობს სახურავზე,**
**უყვარს ტკბილეული და ტრაბახი,**
**იცის ფრენა და არის ყველაზე**
**ლამაზი.**

შეადგინე სიტყვის – **კარლსონი** ბგერითი შემადგენლობის სქემა.

**270.** დაამთავრე წინადადებები:

**სკოლისაკენ ჰერი, ჰერი, ბავშვებს უხმობს (ზარი),**
**მინდორ-ველზე დაჰქრის სუსხიანი (ქარი),**
**ბრძოლის ველზე მეფემ გაიყვანა (ჯარი),**
**მოქნეული ხმლისგან მეფემ აიფარა (ფარი),**
**ჩემ ბებიკოს დასაკრავად მიაწოდეს (თარი),**
**დათომ ბაღის დასაბარად მოიტანა (ბარი),**
**მშვენიერი ამინდია, გარეთა დგას (დარი),**

**მიაქციე ყურადღება:** ჩამოთვლილ სიტყვებში იცვლება მხოლოდ პირველი ბგერა.

შეადგინე ნებისმიერი ოთხი სიტყვის ბგერითი შემადგენლობის სქემა და აღნიშნე, რომელი ბგერები შეიცვალა.



ბავშვებო!
დაეხმარეთ ბაყაყს.
რა ასოს დაწერა უნდა
ბაყაყს?




გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **რ**?









# ბგერა ხ

**271.** რა ხატია სურათზე?



რა ბგერით იწყება სიტყვები:

**ხე, ხბო, ხელი, ხილი, ხარი, ხიდი, ხორბალი, ხოხობი?**



დაამტკიცე პასუხის სისწორე და ხანგრძლივად წარმოთქვი მხოლოდ პირველი ბგერა:



**ხხხხე, ხხხხბო,**
**ხხხხხელი,**
**ხხხხილი,**
**ხხხხარი,**
**ხხხხიდი.**

დამარცვლე სიტყვა –









**ხო-ხო-ბი.**

რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში?

რომელია პირველი მარცვალი? მეორე? მესამე? რამდენი ბგერა **ხ** ისმის ამ სიტყვაში?







**272.** დაასახელე გეომეტრიული ფორმები, რომელთა სახელწოდებაში არის **ხ** ბგერა და გააფერადე ისინი.



**273.** გამოიცანი –

***ხრა-ხრი, ხრა-ხრი აჟღერდა, წააქცია ხეები.***
***იმდენი იმუშავა, დაიმტვრია კბილები.***

რა ბგერით იწყება სიტყვა – **ხერხი?**

რამდენი **ხ** ბგერაა ამ სიტყვაში?

როგორი ბგერაა **ხ?**



**274.** დაათვალიერე სურათები. დაასახელე საგნები და აღნიშნე სად ისმის ბგერა **ხ**, სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში?



**278.** მოისმინე ლექსი:

ყველას აქვს ცხვირი, პირი,
მაგრამ არა ერთნაირი.
დააკვირდი ამ არსებებს
დიდებსა თუ პატარებს,
გამოიცან და აღნიშნე
რა რომელ ცხვირს ატარებს.

რას აქვს ნისკარტი? დინგი? დრუნჩი? ხორთუმი?



**279.** დათვალე ათამდე. აღნიშნე რა ბგერით იწყება თითოეული რიცხვი.

ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები. რომელი სიტყვით აღვნიშნავთ ამ საგნებს? რამდენი ბროწეულია? ყურძნის მტევანი? ალუბალი? ლეღვი? ბალი? მსხალი? ფეიხოა? ქლიავი? ატამი? ხურმა? შეაერთე ხაზებით შესაბამის ციფრებთან.

რომელი ხილის სახელწოდებაში ისმის ბგერა **ხ** სიტყვის თავში? შუაში?



# ასო ხ

**280.** მაჩვენე ასო **ხ**, როცა მოისმენ **ხ** ბგერას შემდეგ სიტყვებში: **ქარხანა, კარადა, ფხა, მახე, ცხვირი, ყუთი, ხუთი.**

**281.** ჩამოთვალე კვირის დღეები და ასწიე ასო **ხ** მაშინ, როცა სიტყვაში წარმოთქვამ **ხ** ბგერას.

**282.** შეადგინე სიტყვების: **ხახვი** და **ცხენი** ბგერითი შემადგენლობის სქემები.





წაიკითხე სიტყვები. რა ასოა სიტყვაში ცხენი, **ხ** ასოს წინ? **ხ** ასოს შემდეგ? რამდენი **ხ** ასოა სიტყვაში ხახვი? სიტყვის თავშია, შუაში თუ ბოლოში?

**283.** გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა. დააწყვე უჯრებზე ბგერების აღმნიშვნელი წრეები. შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა.

     



ბავშვებო!
დაეხმარეთ
სპილოს.
რა ასოს
დაწერა უნდა
სპილოს?

ს



გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ
სიტყვებში
ბგერა **ხ**?





# ბგერა ღ

**284.** რა საგნებია სურათზე? რა ბგერით იწყება ეს სიტყვები? როგორი ბგერაა **ღ**?











**285.** "სმენითი კარნახი". თანმიმდევრობით გამოყავი ბგერები სიტყვებში: **რკო, ბაღი, ღელე, ღორი.**

რამდენი ბგერაა თითოეულ სიტყვაში?

**286.** ბავშვებო, წარმოთქვით მარცვალი, მე დავასრულებ სიტყვას.

| | | |
|---|---|---|
| ღა – მურა | ღი – ღილო | ღო – ბე |
| ღა – მე | ღი – მილი | ღო – ნე |
| ღა – ბაბი | ღი – ღინი | ღო – მი |
| ღა – ტაკი | ღი – ტინი | ღო – რი |
| ღე – რო | ღე – ლე | ღე – რი |
| ღუ – მელი | ღუ – ღუნი | ღუ – ზა |

# ასო ღ

**287.** ასწიე ასო **ღ**, როცა მოისმენ **ღ** ბგერას შემდეგ სიტყვებში: **საღამო, სიმღერა, ლომი, ღომი, ნაღები, კახაბერი, მაღარო, მაღაზია.**

**288.** შეაერთე ხაზებით **ღ** ასოსთან ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ღ**.






ღ







**289.** ეს ყვავილია – **ღიღილო.**



შეადგინე ამ სიტყვის ბგერითი შემადგენლობის სქემა.

რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში? სად ისმის ბგერა **ღ** – სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში?

**290.** გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა. დაალაგე უჯრებზე ბგერების აღმნიშვნელი ფერადი წრეები. შეცვალე ასოებით და წაიკითხე სიტყვა.






გააფერადე სურათები.

რა ხატია სურათზე? ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა **ღ**?



ბავშვებო!
დაეხმარეთ ფისო ცაცოს.
რა ასოს დაწერას ცდილობს ფისო ცაცო?









# ბგერა ყ

**291.** ჩამოთვალე დახატული საგნები. რა ბგერით იწყება ეს სიტყვები?















**292.** ჩამოთვალე ადამიანის სახის ნაწილები. რომელ სიტყვაში არის ბგერა ყ?

**293.** გამოიცანით რა ბგერა აკლია?

სა□ელო □ურძენი სა□ვირი

მარწ□ვი ცი□ვი მა□ვალი

□ანწი □ველი □უნწი

# ასო ყ

**294.** ასწიე ასო ყ, როცა მოსმენ ამ ბგერას შემდეგ სიტყვებში:

**ყვავი, სვავი, ყუთი, ხე, ტყე, სარწყავი, ნორჩი, ყოჩი, ყანა.**

**295.** გამოიცანი –



**ფრინველია მჩხავანა და შავზე შავი,**
**მასსახელად ჰქვია –** ________ **ყვავი**

შეადგინე ამ სიტყვის ბგერითი შემადგენლობის სქემა.

**296.** დაასრულე ნახატი. "ჩააწყვე" ლარნაკში ყაყაჩოები. შეადგინე სიტყვის – **ყაყაჩო** ბგერითი შემადგენლობის სქემა.



რამდენი **ყ** ასოა ამ სიტყვაში?

**297.** რა ხმას გამოსცემენ ფრინველები და ცხოველები? მივბაძოთ მათ.

რა ყიყინებს

რა კიკინებს

რა ყმუის

რა ყივის

რა ჭიხვინებს

რა სისინებს

რა ჭიკჭიკებს

რა გალობს

რა ჩხავის

რა ღუღუნებს

რა ყეფს

რა კნავის

რა ღრუტუნებს

**298.** შეაერთე ხაზებით ის სურათები, რომელთა სახელწოდებაში არის ბგერა **ყ**.













# ყ










ბავშვებო!
დაეხმარეთ
გოჭს.
რა ასოს
დაწერას ცდილობს
გოჭი?



გააფერადე სურათები.
რა ხატია სურათზე?
ისმის თუ არა ამ სიტყვებში ბგერა ყ?







# ბგერა ჰ

**299.** რა ხატია სურათზე? რა ბგერით იწყება სიტყვა **ჰამაკი**?



შეადგინე წინადადების – **ბავშვები სხედან ჰამაკში** – სქემა.

რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? რომელია პირველი? რომელია მესამე სიტყვა? რომელია მეორე სიტყვა?

**300.** ჩასვი სიტყვაში გამოტოვებული ბგერა:

□აერი რე□ანი

□იმნი ბე□ემოტი

# ასო ჰ

**301.** ასწიე ასო ჰ, როცა მოისმენ ჰ ბგერას სიტყვებში:

**ქარი, საჰაერო, ხედი, ბეჰემოტი, სახედარი, ჰიმნი, ჰექტარი.**

მიაქციე ყურადღება: – სიტყვებს: **ჰაერი, საჰაერო, უჰაერო, ჰაეროვანი** აქვთ საერთო ნაწილი – **ჰაერ**.

**302.** შეადგინე სიტყვების: **ჰამაკი** და **რეჰანი** ბგერითი შემადგენლობის სქემები. წაიკითხე სიტყვები.

**303.** გამოყავი თითოეული საგნის სახელწოდებიდან პირველი ბგერა. აიღე ამ ბგერების აღმნიშვნელი წრეები და დააწყვე უჯრებზე. შეცვალე წრეები ასოებით და წაიკითხე სიტყვა.



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |



ბავშვებო!
დაეხმარეთ მაიმუნს.
რა ასოს დაწერას
ცდილობს
მაიმუნი?



# სახალისო სავარჯიშოები

**304.** იპოვე ორი ერთნაირი ასო და გააფერადე.








**305.** ჩამოთვალე სურათზე დახატული საგნები და დამარცვლე. შეადგინე ამ სიტყვების ბგერითი შემადგენლობის სქემები. წაიკითხე სიტყვები.










**306.** გამოიცანი, რომელია მარცვალი და რომელია სიტყვა. მარცვალს ქვეშ გაუსვი ერთი ხაზი, სიტყვას ორი.

კა; მე; ტა; სო; ხე; ფი; ცა; კუ;
ლი; ბუ; რო; ში; ჭა.

**307.** ახსენი ამ ასოების დაწერილობითი მსგავსება და განსხვავება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა-პ; | პ-ჰ; | ზ-ხ; | ხ-ნ; | ო-რ; |
| ე-ქ; | თ-ფ; | ლ-ღ; | გ-ვ; | მ-შ; |

მოისმინე ლექსი:

# ანბანი

პაწაწინა ცელქმა ლადომ
ანბანი ძირს გადმოაგდო.
**ზ** ასოს თავი მოძვრა
ვეღარ იღებს ხმას,
აქეთ-იქით იყურება
ეძებს თავის ტანს.
მისი ტანი ცალკე გდია
დაემსგავსა სხვას აბა მითხარ რას?

რ ასომ ქუდი დაკარგა

დაემსგავსა ო ასოს.

ასო ფ წელში გადატყდა

გადაიქცა თ ასოდ.

ნ ასომ ფეხი იღრძო

ვ და კ ტირიან,

ბ ასოს კოპი აზის

ხ და წ ყვირიან:

ეს რა უკუღმართობა გვჭირს
ვეღარა ვცნობთ თავს,
დავენარცხეთ, ამოვბრუნდით,
დავემსგავსეთ სხვას.
გეხვეწებით, დაგვეხმარეთ,
დაგვამსგავსეთ თავს.

ჰ და პ დაიმალნენ, იატაკზე გაიმალნენ...

ასო ა გონს მოვიდა, არ უჯერებს თვალს,

უჰ! რამდენი ა არის? გაუკვირდა მას.

**308.** დაამთავრე ასოები:



**309.** მოისმინე (წაიკითხე) სიტყვები და დაასახელე ის ასოები და მარცვლები, რომლითაც ეს სიტყვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან:

უჩა ქუჩა
ხელი სახელი კახელი
ზარი ბაზარი ბზარი
ასი თასი ხუთასი
მორი მორიგე მორიელი
გული თაიგული გულიანი

**310.** ჩასვი წერტილების ადგილზე საჭირო მარცვალი და წაიკითხე სიტყვა. რა მსგავსებაა ამ სიტყვებს შორის?

| ბა | გო | კუ | ფე | სი |
|---|---|---|---|---|
| დე | ჭი | დი | ხი | ლა |
| ლი | რი | ზი | რია | ნი |
| გე | ჯი | ჭი | ნა | მი |
| ტი | ბი | ბი | რი | მინდი |

| რი | ფა | ლი | გა |
|---|---|---|---|
| ბა | ტა | სუ | ცი |
| კა | ჯა | გუ | ბა |
| ტა | კე | ხა | ნუ |
| ლა | და | ვე | ად |

**311.** ჩაწერე (დაალაგე) წერტილების ადგილზე ხმოვნები.

ი, ა

| | | | |
|---|---|---|---|
| თ | · | ვ | |
| ბ | · | რ | · |
| ს | · | ლ | · |
| შ | · | ვ | |

ე, ო

| | | | |
|---|---|---|---|
| თ | | ნ | |
| წ | | რ | |
| კ | | ტ | |
| ლ | | ნ | |

**312.** უპასუხე კითხვებს. შეადგინე ყოველი სიტყვის (პასუხის) ბგერითი შემადგენლობის სქემა. გააფერადე თითოეული წრე შესაბამისი ფერის ფანქრით.




1. „მოწიკწიკე" საგანი
2. ძლიერის საწინააღმდეგო სიტყვა
3. რიცხვი
4. ბიჭის სახელი
5. მშრალის საწინააღმდეგო სიტყვა
6. დასაჯდომი ავეჯი
7. ფუტკრის სახლი
8. ქართული ცეკვა

**313.** თქვენ უკვე შეგიძლიათ ასოების გამოყენებით სიტყვების შედგენა. გამოიცანით გამოცანები, თითოეული ასო ჩაწერეთ შესაბამის უჯრაში და შემდეგ წაიკითხეთ სიტყვა. სიტყვების წაკითხვაში სურათები დაგეხმარებათ.

როცა კარგად გაცხელდება,
არ ჭირდება თხოვნა,
დასრიალებს, ასწორებს,
მხოლოდ უნდა მოვლა.






დიდ-პატარა, მრავალფერი,
ტანსაცმელზე დასაკერი.






წვიმა მოდის? ხელად გავშლით.
წვიმისაგან დაგვიცავს.
თუ დაგვცხება ისევ გვშველის.
აგრილდება? დავკეცავთ.






არის ცხოველი ასეთი ტანზე ეკალი აცვია
ზოგჯერ ბურთივით დაგორავს,
გამოიცანით რა ჰქვია?








მოვიარე მთა და ბარი
შენი დარი არსად არის.
ყვავილებში გამორჩეულს,
შენ გიწოდეს დედოფალი.




უყვარს დიდხანს ძილი,
ბუნაგი აქვს თბილი.
ტყეში ეძებს თაფლს,
რას უწოდებთ მას?





ლამაზ ფერად მოხატული
პაწაწინა მწერია,
ყვავილები ფრთაფარფატას
სიხარულით ელიან.








ანაო-ბანაო, მან დაამშვენა ყანაო,
შავთვალას, წითელ კაბიანს
რა ჰქვია    მითხარ ჩქარაო.






ყვითელმა და პაწაწინამ,
ფაფუკმა და ხმაწინწილამ,
დაამსხვრია თავის "სახლი",
გამოძვრა და აწივწივდა.





რა მიცოცავს ასე ნელა?
ზურგით სახლი მიაქვს, გააკვირვა ყველა.





მხიარულს და მანჭიას
ხიდან ხეზე უყვარს ხტუნვა.
ეს ცხოველი ბანანზე
არასოდეს ამბობს უარს.

**314.** დააკვირდი სურათების ქვეშ ფერად წრეებს. ამავე ფერის ფანქრებით შემოხაზე მარცვლები და შეადგინე სიტყვები.













უ   ქი   დე   ტა

კა   მი   თო   დო

ქი   ფიფ   გე   ბუ











ტი

ხო

ჭო

რა

ძაღ

თხა

ლი

ვირ

ბა

გოგ









ვი

თა

ფი

ვი



ნა

დათ

თო

ბაფ

დე

ბა

**315.** დამარცვლე სიტყვები. აღნიშნე რამდენმარცვლიანია და რომელია პირველი, მეორე, მესამე მარცვალი. შემოხაზე სურათების ქვეშ მოცემული ფერის ფანქრით თითოეული სიტყვის შემადგენელი მარცვლები.











ვა სი

კა წა

ნა

წი ქა

ბოს

ტო

ნი

მან გო

კომ

დი მინ











ზამ რი

ქა რა

ნა

ნი

ფი ბა

გე სა

თრო

ფან

ჟი ნი ზვი

**316.** შემოხაზე სურათების ქვეშ მოცემული ფერის ფანქრით თითოეული სიტყვის შემადგენელი მარცვლები. დამარცვლე სიტყვა და აღნიშნე რამდენი მარცვალია, რომელია პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე?












პა

მე საც

ხა მან

სა

და რა

ჭვე

ვი მუ

ფეხ ზა

ან

ლი ნი

ჭი ლა

რი ტი

**317.** მოცემულ მარცვლებს თუ სწორად დაალაგებ, გამოიცნობ, რა საჩუქრები მიიღო ნინომ დაბადების დღეზე. ჩაწერე უჯრებში თითოეული საჩუქრის სახელწოდება.





















**318.** მოცემული მარცვლების მიხედვით თუ სწორად ააწყობ სიტყვებს, გამოიცნობ ვინ ცხოვრობს თითოეულ სახლში. ზღაპრის რომელ გმირებს ეკუთვნით ეს სახლები. ჩაწერე მათი სახელები უჯრებში.







რა კა ცის


ვი დე


მა რა სიზ

# სავარჯიშო - თამაში
## “გამოიცანი რა სიტყვაა?”

**319.** გამოყავი ამ საგანთა სახელწოდებიდან პირველი მარცვალი.
ჩაწერე უჯრებში.
რა სიტყვა მიიღე?

























   

 5  

**320.** თუ სწორად გაყვები წყვეტილ ხაზს და წაიკითხავ მარცვლებს, მიხვდები:
რა მოიპარა კურდღელმა ბოსტნიდან?
რა ყვავილი მოსწონს ნინოს?
რა უყიდეს გიორგის?




შეაერთე წყვეტილი ხაზები ფერადი ფლომასტერებით.

**321.** ფერადი ფანქრებით შეაერთე წყვეტილი ხაზები და წაიკითხე მარცვლები. თუ სწორად წაიკითხავ, მიხვდები რა გარეცხა მანანამ, დედამ და ბებიამ.



**322.** გამოიცანი რომელია ამ მარცვლებში სიტყვა:

ვ, გ, რ, ბ — **ზა**

ქ, ტ, რ, წ — **ვა**

მ, ყ, ზ, ტ — **ბა**

ბ, წ, კ, ფ, ღ, შ — **რე**

ქ, თ, ს, ხ, რ, ყ — **მა**

ც, ბ, ღ, ს, ყ — **რუ**

## სმენითი კარნახი

**323.** ყურადღებით მოისმინეთ მოთხრობები. დაიმახსოვრეთ ბგერების თანმიმდევრობა და გამოიცანით სიტყვები.

ა) სალომე პირველი კლასის მოსწავლეა. ის ლამაზად წერს. სალომეს უმცროსმა ძმამ სთხოვა დაეწერა მისი სახელი. სალომემ აიღო კალამი და დაწერა ასო დ, შემდეგ მან დაწერა ასო ა, მერე დაფიქრდა და დაწერა ასო ვ, მას კიდევ უნდოდა დაეწერა, მაგრამ ქუჩიდან შემოსულმა ხმაურმა შეუშალა ხელი. სალომე ადგა, დახურა ფანჯარა, დაჯდა ისევ მაგიდასთან, წაიკითხა ყველა ასო დავ, მოიფიქრა და დაწერა კიდევ სამი ასო ი, თ, ი. რა ერქვა სალომეს უმცროს ძმას?

ბ) სალომეს ესტუმრა მეგობარი თამუნა. ბავშვებმა ითამაშეს, იმხიარულეს. შემდეგ გადაწყვიტეს შეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ლამაზად დაწერდა. სალომემ აიღო კალამი და დაწერა ასო უ, თამუნამ კი დაწერა ასო მ, სალომემ დაწერა ასო თ, თამუნამაც დაწერა ასო ზ, სალომეს დაუვარდა კალამი. დაიხარა, აიღო კალამი, წაიკითხა დაწერილი ასოები უთ და დაწერა ასო ო. თამუნა დაფიქრდა და დაწერა ბოლო ასო ე.

რა სიტყვა დაწერა სალომემ? რა სიტყვა დაწერა თამუნამ?

თუ ბავშვს გაუჭირდა ბგერების თანმიმდევრობის დამახსოვრება, დაწეროს და შემდეგ წაიკითხოს სიტყვა.

პირველ სექტემბერს ტყეშიც აწკრიალდა სკოლის ზარი. ცხოველები დასხდნენ კუნძებზე და ყურადღებით უსმენდნენ „მასწავლებელს“, რომელმაც დაავალა „მოსწავლეებს“ დაეწერათ რვეულის გარეკანზე სახელები. ერთმა ცხოველმა დაწერა ასო დ, შემდეგ ასო ა, იფიქრა, იფიქრა და გაახსენდა როგორ იწერება ასო თ, შემდეგ კიდევ ორი ასო დაწერა ვ და ი. რა ჰქვია ამ ცხოველს?

მეორე ცხოველმა დაწერა ასო ტ, შემდეგ ასო უ, დაეღალა თათი, გაავარჯიშა თითები, აიღო კალამი და დაწერა ასო რ, ბოლოს კი ასო ა. რა ჰქვია ამ ცხოველს?

მესამე ცხოველმა აიღო კალამი და დაწერა ასო ს. გვერდით კი ასო პ მიუწერა, მერე ლამაზად შემოხაზა ასო ი, შემდეგ კალამი აიღო ხორთუმით და გააგრძელა წერა. დაწერა ასო ლ და ო. რა ცხოველია ის?

შემდეგ მასწავლებელი გაეცნო ცხოველებს და დაწერა დაფაზე ჯერ ასო ქ, შემდეგ ასო ი, ლამაზად დაწერა ასო რ, უცბად ცარცი გაუვარდა, წამოხტა კურდღელი და მიაწოდა მასწავლებელს ცარცი. მან მადლობა გადაუხადა და დაწერა ასო ა, მერე კიდევ ორი ასო ფ და ი. რა ასწავლის ცხოველებს?

**324.** ეს თამაში შეჯიბრი გათვალისწინებულია ხუთიდან შვიდი წლის ასაკის ბავშვებისათვის. თამაშში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს ორმა ექვსმა ბავშვმა. თამაშისათვის საჭიროა კამათელი და სათამაშო ქვები (კოჭები) გადასაადგილებლად. კამათელის გაგორების შემდეგ ბავშვი გადათვლის იმდენ წრეს, რამდენი წერტილიც არის კამათელზე და დადებს კოჭს შესაბამის წრეზე. უფროსი წაიკითხავს კითხვას. ბავშვმა უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე და დაასახელოს ის ასო-ბგერა, რომელზეც დადო კოჭი. ამის შემდეგ შეუძლია თამაშის გაგრძელება. თუ ბავშვი ვერ პასუხობს კითხვას, ის ტოვებს ერთ სვლას. თუ კოჭი მოხვდება წითელ წრეზე, მოთამაშეს შეუძლია გადაადგილდეს ორი წრით და უპასუხოს შესაბამის კითხვას. თუ კოჭი მოხვდება მწვანე წრეზე, იგი უნდა დაბრუნდეს ორი წრით უკან და კვლავ უპასუხოს ამ ასო-ბგერის შესაბამის კითხვას. თუ კოჭი დაჯდება ლურჯ წრეზე, მოთამაშე სვლას იწყებს თავიდან. გამარჯვებულად ითვლება ის ბავშვი, რომელიც პირველი დაასრულებს თამაშს ე.ი. გავა ბოლო ასო-ბგერის აღმნიშვნელ წრეზე.

ა რამდენი ხმოვანია ქართულში?

ბ - ჩამოთვალე სამი სიტყვა, რომელიც იწყება ამ ბგერით.

გ - რამდენი ასო-ბგერაა ქართულში?

დ ვინ დაწერა დედა ენა?

ე - დათვალე ათამდე. რომელი რიცხვები იწყება “ე” ბგერით?

ვ - წაიკითხე ასო-ბგერა.

ზ დაასახელე წელიწადის დრო, რომელიც იწყება ამ ბგერით.

თ რა ერქვა საქართველოს მეფე - ქალს?

რა შეარქვა ხალხმა მეფე დავითს?

კ ვინ შემოიტანა ქრისტიანობა საქართველოში?

ლ წაიკითხე ასო.

მ შეადგინე ორსიტყვიანი წინადადება.

ნ წაიკითხე ასო.

ო ჩამოთვალე კვირის დღეები. დაასახელე კვირის დღეები, რომელთა სახელწოდება იწყება ამ ბგერით.

პ რას ნიშნავს ფრაზა - "ოქროს გული"?

ჟ მოიფიქრე სამსიტყვიანი წინადადება.

რ წაიკითხე ასო.

ს ჩამოთვალე შემოდგომის თვეები.

ტ დაასახელე სიტყვის გლუვი - საწინააღმდეგო სიტყვა.

უ ჩამოთვალე ერთმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც მთავრდება უ ბგერით.

ფ წაიკითხე ასო.

ქ რომელ მეფეს უკავშირდება ლეგენდა თბილისზე?

ღ რა ჰქვია შენი სამშობლოს დედაქალაქს?

ყ მოიფიქრე ორმარცვლიანი სიტყვა.

შ წაიკითხე ასო.

ჩ დაასრულე სიტყვა: ჩა.... ჩი.... ჩო....

ც წაიკითხე ასო.

ძ ჩამოთვალე შინაური ცხოველები, რომელთა სახელწოდებაც იწყება ძ ბგერით.

წ წაიკითხე ასო.

ჭ რა სიტყვებით შეიძლება დაახასიათო უშიშარი ადამიანი?

ხ წაიკითხე ასო.

ჯ ვინ დაწერა "ვეფხისტყაოსანი"?

ჰ - დაასახელე სასუნთქი ორგანო, სუნთქვისთვის აუცილებელი ნივთიერება.



ლ
მ
კ
თ
პ
ი
ზ
დ
ე
ვ
ტ
გ
რ
ს
ბ
უ
ფ
ა


ნ
ო
ვ
ჩ
ჟ
ყ
ძ
ღ
ც
ქ
ჭ
წ
ხ
ჯ
ჰ

**325.** გავავლოთ წყვეტილი ხაზები ბილიკის შუაში. ჯერ პირველ ბილიკზე გადაატარეთ ხაზები კონტურზე, შემდეგ კი დამოუკიდებლად გაავლეთ ხაზები მეორე ბილიკზე.
უპასუხეთ კითხვებს: სად მიდის ზღარბი? რა უყვარს ზღარბს? საით მიღრინავს პეპელა, ფუტკარი? რატომ? სად მიდის ციყვი? და ა.შ.



რა ეწოდება ჩიტის "სახლს"? სად ცხოვრობს მელია? რა ჰქვია მის "სახლს"? სად ცხოვრობენ ბაყაყები? და ა.შ.



ეცადე, ისე შემოხაზო კონტურები, რომ ფანქარი არ მოწყვიტო ქაღალდს. შემდეგ იგივე დახაზე დამოუკიდებლად.









გაავლე ხაზები ზღაპრის პერსონაჟებს შორის ისე, რომ ხელი არ აიღო ბოლო წერტილამდე.










ქ
ც
წ
ჩ
ჯ


1
2
3
4
5

# ლიტერატურა

1. თ.ფერაძე-აბაშიძე, ლ.ხარალიძე, ლ.ნებიერიძე, ა.ქელბაქიანი. დედაენა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი, 1997წ.

2. И. Лопухина. „Логопедия“. Упражнения для развития речи. Санкт-Петербург, 1999г.

## დამატება №1



დაასახელეთ საგნები.
გამოყავით პირველი ბგერა.
ამოჭერით სურათები და ჩააწებეთ შესაბამის წრეებში.

დამატება №3

ფირფიტები სიტყვაში ბგერის ადგილის განსაზღვრისათვის.





